დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

ისტორია - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
19-20.12.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
06.02.2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 13

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 13

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 46

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 59

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 65

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 82

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბი ჭუმბურიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ავალიანი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვაჟა მამიაშვილი - საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა კობახიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხუბულია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ისტორია	სიძველეთმცოდნეობა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის ბაკალავრი	სიძველეთმცოდნეობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0222 ისტორია და არქეოლოგია	0222 ისტორია და არქეოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]		
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული 8.XI.2012 #620	ახალი

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

  სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი იქნა კლასტერი, რომელშიც გაერთიანებულია ორი საგანმანათლებლო პროგრამა: ისტორიის საბაკალავრო პროგრამა და სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ისტორია“ ფუნქციონირებს 2008 წლიდან. მან აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები №620; 08.11.2012). 2020 წელს დაიწყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციისთვის მომზადება, რომლის პროცესში, კლასტერში გაერთიანებულმა პროგრამებმა განიცადეს მოდიფიკაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ ნ ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ კომპეტენციების აღმწერის და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“, აკრედიტაციის სტანდარტების და უმაღლესი ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

  პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში ეროვნული კვალიფიკაცების ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამის სამუშაო ჯგუფმა მოამზადა საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა „ისტორია“ და ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სიძველეთმცოდნეობა“. შესაბამისად, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციები განისაზღვრა განახლებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს „0222 ისტორია და არქეოლოგია“ შესაბამისი სწავლის სფეროების მიხედვით: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „ისტორიის ბაკალავრი“, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სიძველეთმცოდნეობა“ - „სიძველეთმცოდნეობის მაგისტრი“.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის №1591978 12/12/2022 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: მერაბ ჭუმბურიძე (თავმჯდომარე); ეკა ავალიანი (წევრი), ვაჟა მამიაშვილი (წევრი), თამთა კობახიძე (წევრი), ნინო ხუბულია (წევრი), 2022 წლის 19-20 დეკემბერს განახორციელა საკრედიტაციო ვიზიტი სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში “ისტორიის” საბაკალავრო და „სიძველეთმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე. საკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით და შეფერხებების გარეშე. ვიზიტის პროცესში დაწესებულების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ არსებობდა კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა.**

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

რეკომენდაციები

კლასტერული

- აისახოს ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში მიღებული კომპეტენციების და ცოდნის ტრანსფერი სიძველეთამცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში, რათა შეიქმნას წინაპირობა უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე უწყვეტი სწავლის გაგრძელებისათვის;
- განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.

პროგრამული

ისტორია - საბაკალავრო პროგრამა

- მიზანში ფორმულირებულ წინადადებაში - „განსხვავებული ტიპის წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ისტორიის რეპრეზენტაცია“, რეპრეზენტაციის ნაცვლად გამოყენებული იქნეს სხვა ტერმინი, მაგალითად, რეკონსტრუქცია ან ინტერპრეტაცია, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ისტორიის რეპრეზენტაცია განათლების ამ საფეხურისთვის მიუღწევადია;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა;
- გადაიხედოს სამი სასწავლო კურსის (ისტორიის ფილოსოფია, ნუმიზმატიკა, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია (XIX-XX სს.) სილაბუსი და სავალდებულო ლიტერატურის რიცხვი შემცირდეს საგნის კრედიტების შესაბამის გონივრულ რაოდენობამდე;
- განახლდეს საბაკალავრო პროგრამის საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით;
- დაკონკრეტდეს და დაწვრილებით იქნეს წარმოდგენილი ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში სხვადასხვა აქტივობებისთვის გასაწევი ფინანსური მხარდაჭერისათვის განკუთვნილი ხარჯები.

სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა

- სიძველეთმცოდნეობის დარგის შინაარსიდან გამომდინარე, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას გათვალისწინებით დაზუსტდეს პროგრამის მიზანი და შესაბამისობაში მოვიდეს სფეროს სპეციფიკასთან;
- აისახოს სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანში კლასტერული ბმა ისტორიის საბაკალავრო პროგრამასთან;
- გამოიკვეთოს სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში კავშირი ისტორიის დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის მიერ.
- შესაბამისობაში მოყვანილი იქნას პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებთან, სწავლების სფეროსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გადამუშავდეს პროგრამის მიზანთან სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ;
- პროგრამის სტრუქტურა მოვიდეს სრულ შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან და მასში აისახოს სწავლის სფეროს გამოცდილება, მათ შორის საერთაშორისო;
- გამოიკვეთოს კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გაითვალისწინებს ძირითადი სასწავლო სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე ან საკითხზე;
- დაზუსტდეს, შეიცვალოს და დაკონკრეტდეს ქრონოლოგიური ჩარჩოები ან მოხდეს პერიოდებს შორის ურთიერთკავშირის დასაბუთება;
- შეიცვალოს პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსები შესაბამისობაში მოვიდეს სიძველეთმცოდნეობის სფეროს მოთხოვნებთან;
- შეტანილ იქნეს პროგრამაში ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა ანტიკური (ბერძნულ-რომაული) არქეოლოგია;
- შეტანილი იქნეს პროგრამაში ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ასახავს კოლხურ-იბერიული სამყაროს ისტორიას და მათ კავშირებს ანტიკურ სამყაროსთან;
- პროგრამისთვის შეიქმნას არჩევითი კურსები დამხმარე ისტორიული დისციპლინების ჩართულობით, რომლებიც ფოკუსირებულია ძველი ისტორიის ინტერპრეტაციაზე და რეინტერპრეტაციაზე;
- შეიცვალოს სილაბუსების დასახელება და შინაარსი, რათა შესაბამისობაში მოვიდეს სიძველეთმცოდნეობის სწავლების სფეროსთან და ასევე აღარ მოხდეს გადაფარვა ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორია“, „საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური ასპექტებ“, „ძველი ისტორიის შესავალი“, ასევე მათ წასაკითხად მოწვეული იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალი;
- შეიცვალოს კლასიკური ენების (ლათინური და ბერძნული) სილაბუსების შინაარსი და დონის შესაბამისად ჩამოყალიბდეს ის ცოდნა და უნარები, რომლებზეც გასვლა უფრო რეალისტური იქნება;
- გასწორდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში, მაგალითად, „ბერძნული ენა 2“ - ში, ტექნიკური შეცდომა „ცოდნა და გაცნობიერების“ ნაწილში. „სიღრმისეულად იაზრებს ლათინური ენის გრამატიკას და მის თავისებურებებს“;
- გადავიდეს პროგრამის არჩევით ბლოკში ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა „რელიგიის თეორიები“, „სამართლიანობა და ზნეობრიობა პლატონის მიხედვით“, „ქართულ ხელნაწერთა როლი მსოფლიო კულტურის საგანძურში“, „ძველი ქართული ლიტერატურა“, რადგან ისინი არ ასახავენ სიძველეთმცოდნეობის სფეროს და მათი მეშვეობით გასვლა სიძველეთმცოდნეობის სწავლის შედეგებზე პრაქტიკულად ძნელი წარმოსადგენია;
- სასწავლო კურსის „ბერძულ-რომაული ლიტერატურა“ სილაბუსი გაიყოს ორ ნაწილად „ბერძნული ლიტერატურა“ და „რომაული ლიტერატურა’, რადგანაც ერთი სემეტრის ფარგლებში შეუძლებელია ასეთი მოცულობის მასალის ათვისება, მით უმეტეს ლიტერატურული ნაწარმოებების სრულფასოვანი გაცნობა;

- პროგრამისთვის შეიქმნას არჩევითი კურსები დამხმარე ისტორიული დისციპლინების ჩართულობით, რომლებიც ფოკუსირებულია ძველი ისტორიის ინტერპრეტაციაზე და რეინტერპრეტაციაზე;
- სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა;
- გადაიხედოს ოთხი სასწავლო კურსის (რელიგიის თეორიები, ძველი ისტორიის შესავალი, საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური ასპექტები, საქართველოს უძველი საზოგადოების მენტალური ისტორიის რეკონსტრუქცია არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით) სილაბუსი და სავალდებულო ლიტერატურის რიცხვი შემცირდეს საგნის კრედიტების შესაბამის გონივრულ რაოდენობამდე;
- დაკონკრეტდეს მიღების წინაპირობებში თუ რას გულისხმობს „გაიარა გასაუბრება სპეციალობაში“;
- პრაქტიკული და სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებისათვის შესაბამისობაში მოყვანილი იქნეს პრაქტიკის სილაბუსი სწავლების საფეხურთან;
- სასწავლო კურსის, „კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში“, შინაარსი და შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს სიძველეთმცოდნეობის სფეროს სპეციფიკასთან, ან შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „კვლევის მეთოდები კლასიკურ ფილოლოგიაში“;
- მომზადდეს თეორიული კურსები, რომლებიც ითვალისწინებს დარგის მეთოდებს და მეთოდოლოგიას;
- გაიმიჯნოს სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში ერთმანეთისაგან სწავლა-სწავლების მეთოდები და სწავლების ფორმატი;
- შემუშავებული იქნას მაგისტრებისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და მექანიზმი;
- უზრუნველყოფილი იქნას სამაგისტრო პროგრამა კვალიფიციური ხელმძღვანელებით;
- შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ხელძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და განვითარებას;
- განახლდეს სააგისტრო პროგრამის საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით;
- დაკონკრეტდეს და დაწვრილებით იქნეს წარმოდგენილი სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში სხვადასხვა აქტივობებისთვის გასაწევი ფინანსური მხარდაჭერისათვის განკუთვნილი ხარჯები;
- ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში აუცილებელია პროგრამის ხელმძღვანელისა და პერსონალის მაღალი ჩართულობა. აღნიშნული გადამწყვეტია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სტრუქტურისა და შინაარსის თავსებადობაში;

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული

- სასურველია, ისტორიისა და სიძველეთმცოდნეობის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანსა და ამოცანებში გამოიკვეთოს კავშირი ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს შორის;
- სასურველია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შედგენისას გამოყენებული იყოს ერთნაირი მიდგომები და პრინციპები;
- სასურველია გაიმიჯნოს სილაბუსებში ერთმანეთისაგან სწავლა-სწავლების მეთოდები და სწავლების ფორმატი;
- სასურველია, გაიზარდოს ინფორმირებულობა სტუდენტებში უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ;
- სასურველია, კარიერის განვითარების ცენტრის საქმიანობის ცნობადობის გაზრდა;
- სასურველია, გაიზარდოს პარტიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების რაოდენობა;

პროგრამული

ისტორია - საბაკალავრო პროგრამა

- სასურველია, რომ პროგრამის ხანგრძლივობის განსაზღვრისას გარდა 4 წლისა ასევე მიეთითოს სემეტრების რაოდენობაც - 8;
- სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურის განსაზღვრისას ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ნაცვლად გამოყენებულ იქნას შემდეგი ფორმულირება: „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები“, ხოლო არჩევითი კურსების ნაცვვლად კი „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები“;
- სასურველია პროგრამაში აისახოს აფხაზეთის და სამეგრელოს რეგიონის ისტორია და კულტურა ცალკეული სასწავლო კურსების სახით;
- სასურველია პროგრამის სტრუქტურაში შეტანილი იქნას ახალი სასწავლო კურსი - ბიზანტიის ისტორია, ან აისახოს ბიზანტიის ისტორიის ნაწილი სასწავლო კურსში „ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსანთა ეპოქა“;
- სასურველია უფრო აქტიურად წარიმართოს ახალი სასწავლო ლიტერატურის მოძიების პროცესი, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ გაეცნონ დარგში უახლესი კვლევების შედეგებს;
- რადგანაც პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ინგლისური ენის შესწავლას, სასურველია მოძიებული იქნეს ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, განსაკუთრებით მსოფლიო ისტორიის მიმართულებით;
- ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერული განვითარების მიზნით პროგრამის განხოციელებაში ჩაერთოს ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების მქონე პირები და ხელი შეეწყოს მათ ინტეგრაციას პროგრამებსა და კვლევით საქმიანობაში.

- მიზანში არსებული ფრაზა - "მოამზადოს კლასიკური ენების (ლათინური, ბერძნული) „სპეციფიკის მცოდნე" სპეციალისტი - ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: "მოამზადოს კლასიკური ენების (ლათინური, ბერძნული) მცოდნე სპეციალისტი,
- სასურველია „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის", სასწავლო კურსის სილაბუსის თემებში XIII და XIV, რომის ნაცვლად ნაცვლად ჩაიწეროს ბიზანტიის იმპერია, ან აღმოსავლეთ რომი, რაც ქრონოლოგიური და ტერმინოლოგიური თვალსაზრისით უფრო გამართლებული იქნება;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსის „რელიგიის თეორიების" სილაბუსიდან ამოღებული იქნეს გერმანულენოვანი ლიტერატურა, რადგანაც პროგრამაზე მიღების წინაპირობაში დევს მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნა;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში" უფრო მეტად ასახავდეს დარგის სპეციფიკას და მასში შემავალი მიმართულებების კვლევის მეთოდებს.
- სასურველია სასწავლო კურსი „მითოლოგიის არსი" უფრო მეტად ასახავდეს ანტიკური მითოლოგიის ასპექტებს და თემატიკას;
- სასურველია მიღების წინაპირობებში ჩაიწეროს თუ სად იქნება განთავსებული ინფორმაცია მიღების წინაპირობების, ინგლისური ენის გამოცდების და სპეციალობაში გასაუბრების შესახებ, მაგალითად, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა ყველასათვის ხელმისწავდომი იყოს საჭირო ინფორმაცია;
- სასურველია აისახოს თუ პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციები რა სახით უწყობენ ხელს პრაქტიკული უნარების განვითარებას;
- პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებისათვის მეტი პრაქტიკული კომპონენტები იქნეს შეტანილი სასწავლო კურსების სილაბუსებში ჩაშენებული კომპონენტის სახით;
- გაიზარდოს სიძველეთმცოდნეობის სფეროში გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამის განვითარების და მისი მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით;
- სასურველია, სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ხარჯები;
- სასურველია გარე შეფასება განხორციელდეს დარგის მიმართულებით. დარგის მიმართულებით შეფასება პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს მისცემს შესაძლებლობას დამოუკიდებელი შეფასების მოსმენისა, რაც დარგთან არსებული რიგი ხარვეზებისა და უზუსტობების თავიდან არიდების საშუალებას მისცემს მათ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა „ისტორიის“ საბაკალავრო და "სიძველეთმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის განხილვის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სიძველეთმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება.
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით უსდ-ს ადმინისტრაცია მეტწილად ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში წარმოდგენილ რეკომენდაციებს.
- ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება დასკვნიდან ამოეღო ერთი კლასტერული და მისგან გამომდინარე ორი პროგრამული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ახალი პროგრამის შემუშავებასთან მიმართებით დაწესებულების მიერ მონიტორინგის პროცედურის გაუმჯობესებას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული დარგობრივი და შინაარსობრივი უზუსტობები. რეკომენდაციების არსებობა განაპირობა „სიძველეთმცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამაში არსებულმა მნიშვნელოვანი ხასიათის დარგობრივმა და შინაარსობრივმა ხარვეზებმა, მაგრამ რადგანაც უსდ-მ მიიღო გადაწყვეტილება ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნული რეკომენდაციების საჭიროება თავისთავად მოიხსნა. რეკომენდაციიების ამოღებამ გამოიწვია მცირე ცვლილება მეხუთე სტანდარტის შეფასებაში, რაც კლასტერის შეფასებაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამების მიზნები კავშირშია უნივერსიტეტის მისიასთან და ერთმანეთთან ცოდნის გენერირების, სამეცნიერო კვლევის განვითარების, ეროვნული და უნივერსალური ღირებულებების დამკვიდრების თვალსაზრისით. მიზნები რეალისტურია და ჩამოყალიბებულია მოკლედ. პროგრამების ამოცანები მკაფიოდაა განსაზღვრული და კარგად გააზრებულია, ხოლო პრიორიტეტები სრულიად შეესაბამება უსდ-ს და განვითარების სტრატეგიულ გეგმას და საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხედვებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერში წარმოდგენილი „ისტორიის“ საბაკალავრო და „სიძველეთმცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამები ლოგიკურად და შინაარსობრივად ნაკლებად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამების მიზნები ითვალისწინებენ დარგის სპეციფიკური და ზოგადი/ტრანსფერული უნარების განვითარების გზით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას თანამედროვე შრომის ბაზრისათვის, თუმცა სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებაში ეს მიზანი რთულად შესასრულებელია, რადგანაც მიზანი და პროგრამის შინაარსი ნაკლებ ბმაშია ერთმანეთთან.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით კლასტერის პროგრამებს აქვთ ყველა საჭირო წინაპირობა მიზნების მისაღწევად: ა) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამის სტრუქტურა; ბ)

სწავლება-სწავლისა და სწავლის შედეგების შეფასების თანამედროვე მეთოდები; გ) პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ბიბლიოთეკა მუდმივად განახლებადი მატერიალური და ელექტრონული წიგნადი ფონდით, წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან და შესაბამისი ადამიანური რესურსი. აღსანიშნავია, რომ ისტორიის საბაკალავრო პროგრამების მიზნები პირდაპირ კავშირშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზნები პროგრამის სწავლების შედეგებთან ნაკლებადაა შესაბამისობაში.

ანალიზი - კლასტერში წარმოდგენილი ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი ნათელია, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ითვალისწინებს სწავლის სფეროს და სწავლების საფეხურის მოთხოვნებს. ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის და აგებულია დარგის („ისტორია" განმსაზღვრელი კონცეპტუალური ხედვებით და შესატყვისი დისციპლინებით/საგნებით) სფეროს შინაარსიდან გამომდინარე კონცეფციით. პროგრამის ამოცანები გასაგებადაა განსაზღვრული და მისი შესრულებაც რეალისტურია. პროგრამის მიზანი გარკვეულწილად ითვალისწინებს რეგიონის ინტერესებს და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. მიზანში ნათლად იკვეთება თუ რა ცოდნასა და კვალიფიკაციას მიიღებს კურსდამთავრებული. ისტორიის საბაკალავრო პროგრამისა და სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამების მიზნები ერთმანეთს უკავშირდებიან მხოლოდ თემატურად, ხოლო შინაარსობრივად მოდიან დისონანსში, მაგრამ მიმართულებებს შორის განსხვავება ფაქტიურად გამორიცხავს მათ შორის ლოგიკურ კავშირს. შესაბამისად, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში მიღებული კომპეტენციების და ცოდნის ტრანსფერი სიძველეთამცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში, რაც შექმნის წინაპირობას უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე უწყვეტი სწავლის გაგრძელებისა და კურსდამთავრებულთა შესაძლებლობების რეალიზებისთვის. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია დასაბუთდეს სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კლასტერული ბმები ისტორიის საბაკალავრო პროგრამასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ისტორია - საბაკალავრო პროგრამა[6]

აღწერა - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ისტორიის დარგში კომპლექსური ცოდნით აღჭურვილი, ანალიტიკურად მოაზროვნე სპეციალისტი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში (ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების, ძველი საბერძნეთის, ძველი რომის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების, კავკასიის ხალხების, ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ისტორია). პროგრამის

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

კურსდამთავრებული შეძლებს გააცნობიეროს, ისტორიის მიმართულებისთვის შესაბამისი მრავალმხრივი თემატური, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ასევე, პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობები, დოკუმენტური მასალებისა და ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და ანალიზი, განსხვავებული ტიპის წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ისტორიის რეპრეზენტაცია; გარდა დარგობრივი ცოდნის, უნარებისა და პროფესიული ღირებულებებისა, პროგრამა სტუდენტს განუვითარებს ისეთ ტრანსფერულ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას დასაქმდეს და წარმატებული საქმიანობით საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგისა და პროფესიული საზოგადოების განვითარებაში. სწავლების ინტერნაციონალიზაციისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს სავალდებულოდ განესაზღვრათ ინგლისური ენის ცოდნა, რისთვისაც პროგრამაში გამოყოფილია 20 კრედიტი, საჭიროების შემთხვევაში კი - თავისუფალი კრედიტები.

ანალიზი - საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სწავლების საფეხურს, საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადია. მათში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. მიზანი ითვალისწინებს ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრულ სწავლის სფეროს თავისებურებებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0222 ისტორია და არქეოლოგია“. პროგრამა რამდენიმე მიმართულებით აძლევს ცოდნას კურსდამთავრებულს: ეროვნული ისტორია (საქართველოს ისტორია), რეგიონული და მსოფლიო ისტორია. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (მასწავლებლის პროფესიის დასაუფლებლად. აუცილებელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების გზით), პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, კერძო სექტორში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ. ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა რეგიონის ფარგლებში. კვლევა გვიჩვენებს კერძო სექტორში ისტორიის კურსდამთავრებულთა სამსახურში დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებს, გამომდინარე მათი ტრანსფერული უნარებიდან. ინტერვიუს შედეგებმა ნათელყო, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმებულია, მათ შორის სპეციალობით. ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში. პროგრამის მიზანში ასევე ასახულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები, კერძოდ, სწავლების ინტერნაციონალიზაციისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებულია ინგლისური ენის სწავლება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა.

აღწერა - სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს კლასიკური ენების (ლათინური, ბერძნული) სპეციფიკის მცოდნე, ანტიკური ეპოქების კულტურის და ისტორიის, მითოლოგიური და რელიგიური წარმოდგენების, ბერძნულ-რომაული, ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტის ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე სპეციალისტი, რომელიც კრიტიკულად იაზრებს სიძველეთმცოდნეობის დარგს მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ კონტექსტში და ორიენტირებულია დარგში პრობლემების შესწავლასა და კვლევაზე ახალი ორიგინალური მიდგომების გამოყენებით.

ანალიზი - სამაგისტრო პროგრამის მიზნები, თემატური და ქრონოლოგიური კურსები ნაკლებად შეესაბამება სწავლების საფეხურს, თუმცა საჯარო და ხელმისაწვდომია. პროგრამა თავისი მიმართულებებით არ არის თანხვედრილი და პროგრამის მიზანში არ არის დასაბუთებული კლასტერული ბმა ისტორიის საბაკალავრო პროგრამასთან. შესაბამისად, ის ნაკლებად რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა თავისი თემატური და ქრონოლოგიური კურსებით, დასაქმებული პერსონალითა და საბიბილოთეკო ფონდით ვერ აკმაყოფილებს სამაგისტრო საფეხურის სწავლების საფეხურს. მაგალითად, სიძველეთმცოდნეობის დარგის სპეციფიკა ითვალისწინებს არა მხოლოდ ანტიკური კულტურის, არამედ ანტიკური (ბერძნულ-რომაული) არქეოლოგიის ცოდნას, რაც პროგრამის მიზნებსა და შემდეგ შედეგებში საერთოდ არ არის ასახული. მიზნის მიხედვით სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სტუდენტს, რომელიც კრიტიკულად იაზრებს სიძველეთმცოდნეობის დარგს ინტერდისციპლინურ და მულტიდისციპლინურ კონტექსტში, თუმცა არ ისწავლება დარგის სხვადასხვა მიმართულებათა კვლევის შესაბამისი მეთოდები, რომლებმაც უნდა განავითაროს სტუდენტის დარგობრივი კომპეტენციები. პროგრამის მიზანი ასევე არ ითვალისწინებს წინა საფეხურზე არსებული და მიღებული კომპეტენციებისა და ცოდნის ლოგიკურ ტრანსფერს და სწავლების ახალ საფეხურზე მათ გაღრმავება-გაფართოების შესაძლებლობას. სიძველეთმცოდნეობის მიმართულება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ის მიხედვით შედის „0222 ისტორია და არქეოლოგია“ დეტალურ სფეროში. კლასტერის თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 11) მითითებულია, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები, დარგის სპეციფიკა და ეროვნული გამოცდილება. შევნიშნავთ, რომ ისტორიის დარგობრივი მახასიათებელი არ ითვალისწინებს წარმოდგენილი პროგრამის, სიძველეთმცოდნეობის სპეციფიკას. პროგრამა არ ემთხვევა არც არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამაში წარმოდგენილი ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულებების მწირი სასწავლო კურსები არ გადიან სიძველეთმცოდნეობის კვალიფიკაციაზე. პროგრამა ასევე არ ითვალისწინებს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება ამ დარგში (შდრ. Ancient Studies).

საქართველოს სინამდვილეში არც ერთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში არ არსებობს სიძველეთმცოდნეობის პროგრამა. ერთადერთი პროგრამა, რომელიც კურსდამთავრებულს აძლევს სიძველეთმცოდნეობის მაგისტრის კვალიფიკაციას, არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა „ძველი ენები და ცივილიზაციები“. თუმცა მასთან, ან სხვა ანალოგ პროგრამასთან შედარების ანალიზი წარმოდგენილი არ არის. აგრეთვე საქართველოში არ არსებობს სიძველეთმცოდნეობის სფეროს შინაარსის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

თვითშეფასების ანგარიშის (გვ. 11) მიხედვით, პროგრამა შექმნილია საერთაშორისო გამოცდილებების მიხედვით, კერძოდ გაზიარებულია ზალცბურგის პროგრამის საუკეთესო პრაქტიკა, არ არის წარმოდგენილი რომელი უნივერსიტეტის რომელი პროგრამის გამოცდილებაა გაზიარებული. შესაბამისად, ასევე არ არსებობს ამ პროგრამასთან შედარების დოკუმენტი. იმისათვის, რომ პროგრამის მიზანი სწორად იყოს ჩამოყალიბებული, აუცილებლად მიგვაჩნია კარგად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული სიძველეთმცოდნეობის დარგის საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება, რაც პროგრამის ხელმძღვანელებს და აკადემიურ პერსონალს საშუალებას მისცემს პროგრამის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს სფეროს სპეციფიკასთან.

მიზანი ასევე არის ბუნდოვანი და ნათლად არ ასახავს რომელი უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. მაგალითად, მიზნების პირველ ნაწილში საუბარია „კლასიკური ენების (ლათინური, ბერძნული) სპეციფიკის მცოდნე“ სპეციალისტის მომზადებაზე. აღნიშნული დებულება არ აკონკრეტებს კლასიკური ენების ცოდნის წინა გამოცდილებას, დიაპაზონს, საფეხურს და სიღრმეს. ასევე დებულება კლასიკური ენების „სპეციფიკის მცოდნე“ ბუნდოვანია და ამ განსაზღვრებას არ მოეძებნება ანალოგი არც ქართულ და არც დასავლურ საუნივერსიტეტო სამყაროში. ასევე პროგრამის წინაპირობაში არაფერია ნათქვამი კლასიკური ენების ცოდნის მოთხოვნაზე, არადა სასწავლო კურსის „ლათინური ენა 1“ სილაბუსში პირველივე კვირის თემატიკაში მითითებულია სათარგმნი ტექსტი - „რომაელები და მათი მეზობლები“. თუ პროგრამაზე მოვა სტუდენტი, რომელსაც ბაკალავრიატში არ აქვს მიღებული კლასიკური ენების საწყისი დონის ცოდნა, მით უმეტეს, რომ ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში არ არის გათვალისწინებული კლასიკური ენების შესწავლა, მაშინ ის ვერ შეძლებს ენის პირველი დონის დაწყებისთანავე ტექსტის თარგმნას.

პროგრამის მიხედვით სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში: საჯარო და კერძო სკოლებში; აკადემიურ სტრუქტურებში; საჯარო სტრუქტურებში; კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურზე დოქტორანტურაში, სადოქტორო პროგრამებზე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

დასაქმების სფერო საკმაოდ ზოგადია და არ ასახავს კონკრეტულ მიმართულებებს. მაგალითად, არ ჩანს რა პოზიციებზე უნდა იმუშაოს სკოლებში და საჯარო სტრუქტრურებში სიძველეთმცოდნეობის მაგისტრმა. შრომის ბაზრის წარმოდგენილი ანალიზი არაეფექტურია იმ თვალსაზრისით, რომ დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს ვაკანსიის სიმცირეზე, ან არ არსებობაზე. ინტერვიუს დროს დამსაქმებლებთან საუბრისას გაირკვა, რომ არც ერთ მათგანს არ ჰქონდა გაცნობიერებული სიძველეთმცოდნეობის კურსდამთავრებულების რეალური საჭიროება თავიანთ ინსტიტუციებში. გაურკვეველი დარჩა რა კუთხით შეიძლება სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გამოყენება ადგილობრივ მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, სკოლაში, მერიაში, არქივსა და ბოტანიკურ ბაღში.

ასევე პროგრამის კომპეტენციები და უნარები დაბრკოლებას შეუქმნის მაგისტრს განათლება გააგრძელოს შემდეგ საფეხურზე. წყვეტილი, ფრაგმენტული ცოდნა კლასიკურ სამყაროზე, რელიგიის შესწავლა და ქართული შუასაუკუნეების მიმართულება ლიტერატურაში, მას ვერ მისცემს სრულფასოვან, თანამიმდევრულ ცოდნას სხვადასხვა საკითხებზე, თემებზე და პროცესებზე, რაც ძველ სამყაროს უკავშირდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;
- სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები;
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- აისახოს ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში მიღებული კომპეტენციების და ცოდნის ტრანსფერი სიძველეთამცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში, რათა შეიქმნას წინაპირობა უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე უწყვეტი სწავლის გაგრძელებისათვის.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ისტორიისა და სიძველეთმცოდნეობის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანსა და ამოცანებში გამოიკვეთოს კავშირი ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს შორის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია- საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მიზანში ფორმულირებულ წინადადებაში - „განსხვავებული ტიპის წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ისტორიის რეპრეზენტაცია“, რეპრეზენტაციის ნაცვლად გამოყენებული იქნეს სხვა ტერმინი, მაგალითად, რეკონსტრუქცია ან ინტერპრეტაცია, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ისტორიის რეპრეზენტაცია განათლების ამ საფეხურისთვის მიუღწევადია.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- სიძველეთმცოდნეობის დარგის შინაარსიდან გამომდინარე, საუკეთესო საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილებას გათვალისწინებით დაზუსტდეს პროგრამის მიზანი და შესაბამისობაში მოვიდეს სფეროს სპეციფიკასთან;
- აისახოს სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანში კლასტერული ბმა ისტორიის საბაკალავრო პროგრამასთან.

რჩევ(ებ)ი:

- მიზანში არსებული ფრაზა - „მოამზადოს კლასიკური ენების (ლათინური, ბერძნული) „სპეციფიკის მცოდნე“ სპეციალისტი - ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „მოამზადოს კლასიკური ენების (ლათინური, ბერძნული) მცოდნე სპეციალისტი“.

შეფასება [7]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოტხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სანაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

[7] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

აღწერა - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამების მიზნებიდან. მიზნები გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტურია და ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებიც გამოუმუშავდება თითოეული პროგრამის კურსდამთავრებულებს. ისინი ერკვევიან დარგის არსში, იციან მისი განვითარების ძირითადი ეტაპები, ფლობენ ისტორიული წყაროების დამუშავების ტექნიკას, მსჯელობენ დარგში არსებული პრობლემების შესახებ. კლასტერში შემავალი პროგრამები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან, ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ანალიზი - ისტორიის საბაკალავრო პროგრამის შედეგები შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით, გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები და პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები. საგანმანათებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება ისტორიის დარგობრივ მახასიათებელს, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგებში, ამავდროულად, გათვალისწინებულია ის გამოცდილება, რაც პროგრამების ფუნქციონირების პერიოდში დაგროვდა.

სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის შედეგები ნაკლებად ასახავს მიმართულების ტენდენციებს. რაც შეეხება დარგობრივ მახასიათებელს, სიძველეთმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებელი ჯერ არ არის შემუშავებული.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

აღწერა - ისტორიის საბაკალავრო პროგრამას აქვს 9 შედეგი: ა) აანალიზებს საქართველოს, კავკასიისა და მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებს; ბ) მსჯელობს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სფეროში არსებული პრობლემური საკითხების გარშემო; გ) აფასებს მეზობელი ხალხების ისტორიული განვითარების საბაზისო ეტაპებს; დ) აცნობიერებს ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის მნიშვნელობას მსოფლიო ისტორიის რეკონსტრუქციის პროცესში; არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული გეოგრაფიის მასალების მნიშვნელობას საქართველოს ისტორიის შესწავლის პროცესში; ისტორიული და ფილოსოფიური აზროვნების ფორმირების საკვანძო მომენტებს; ე) მოიძიებს პირველად და მეორეულ წყაროებს, ასევე, ბიბლიოგრაფიულ, დოკუმენტურ და სხვა სახის მასალებს; ვ) აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას საქართველოს, კავკასიის ხალხთა ისტორიის, მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებზე; ზ) იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიურ აპარატს; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს; აკადემიური წერის უნარებს; ინგლისურ ენას ზეპირი და წერითი კომუნიკაციისათვის; თ) ქმნის ნაშრომს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით; ი) პატივს სცემს განსხვავებულ თვალსაზრისს, ღირებულებებს, იდეებსა და კულტურას; იცავს ეთიკურ ნორმებსა და ტოლერანტობას; იცავს გუნდური მუშაობის პრინციპს.

ანალიზი - ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. პროგრამის კლასტერული სივრცე მოიცავს ლოკალურ, რეგიონულ და ტრანსრეგიონულ ისტორიების კურსებს და სტუდენტს აძლევს ფართო ბაზისურ ცოდნას ისტორიის ფართო გაგებით, ასევე დიაქრონულ ჩარჩოებში აღქმისა და გააზრების უნარს. სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადია და შეესაბამება პროგრამის მიზანს, ისტორიის დარგობრივ მახასიათებელს, სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს (0222 ისტორია და არქეოლოგია") და მისანიჭებელ კვალიფიკაციას -„ისტორიის ბაკალავრი". პროგრამის შედეგების შემუშავებაში ჩანს მონაწილე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის. საბაკალავრო პროგრამის სწავლების შედეგები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებით, თანმიმდევრულია და ვითარდება სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის მიხედვით. სწავლის შედეგები რელევანტურია პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებისა და იძლევა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, რაც დასტურდება კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციით და ასევე პირადი ინტერვიუებიდან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

აღწერა - სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამას აქვს 8 შედეგი: 1) იცის ძველი მსოფლიოს და საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ჩარჩოები, მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჟანრების ტრანსფორმაციის ეტაპები ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე; იაზრებს რელიგიის, როგორც ერთ-ერთი სოციალური სისტემის მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოების ეგზისტირების პროცესში; 2) კრიტიკულად იაზრებს სიძველეთმცოდნეობის სფეროს, როგორც ადამიანის მენტალურ ჰუმანისტური ისტორიის შესწავლის, გაცნობიერების და განვითარების ინსტრუმენტს; განსაზღვრავს დარგის პრობლემურ საკითხებს და არჩევს ახალ ორიგინალურ მიდგომებს მათ გადასაჭრელად; 3) სიძველეთმცოდნეობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნით, თანამედროვე საზოგადოების მენტალობის და საზოგადოებრივი ტრანსფორმაციების გააზრებით, მხარს უჭერს სხვადასხვა სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური ჯგუფების ინტერაქციას მულტიკულტურულ გარემოში და ანხორციელებს მას თანასწორობის პრინციპის დაცვით; 4) სიძველეთმცოდნეობის სფეროში ამოიცნობს რთულ კომპლექსურ პრობლემებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად აყალიბებს მათი გადაჭრის ორიგინალურ გზებს დარგში მიღებული კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით; 5) სიძველეთმცოდნეობის სფეროს უცნობ/მულტიდისციპლინურ გარემოში, უახლესი მიდგომების გამოყენებით, კრიტიკულად აფასებს და აანალიზებს ლინგვისტურ, ისტორიულ, რელიგიურ, ლიტერატურულ და სოციალურ პროცესებს, ახდენს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს და აყალიბებს დასკვნებს, შესაბამისი

სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით; 6) აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, ასაბუთებს სიძველეთმცოდნეობის სფეროში ანალიზის საფუძველზე ფორმულირებულ საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს წარუდგენს აკადემიურ, პროფესიულ და სამეცნიერო საზოგადოებას, მონაწილეობს საჯარო პროფესიულ განხილვებსა და თემატურ დისკუსიებში; 7) კულტურათაშორისი განსხვავებების და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებით, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან მიმართებაში აყალიბებს ტოლერანტულ მიდგომებს და ახდენს მულტიკულტურულ გარემოსთან ადაპტაციას; 8) სფეროს სპეციფიკის და სწავლის პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გეგმავს საკუთარი სწავლის გაგრძელების შემდგომ მიმართულებებს.

ანალიზი - შედეგებში ნაკლებად ჩანს სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ბმა პროგრამის მიზანთან. მაგალითად, სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია მოამზადოს კლასიკური ენების სპეციფიკის მცოდნე, ანტიკური ეპოქების კულტურის და ისტორიის, მითოლოგიური და რელიგიური წარმოდგენების, ბერძნულ-რომაული, ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტის ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე სპეციალისტი. პროგრამის პირველი შედეგის მიხედვით კი კურსდამთავრებულმა იცის ძველი მსოფლიოს და საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ჩარჩოები, მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჟანრების ტრანსფორმაციის ეტაპები ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე, იაზრებს რელიგიის, როგორც ერთ-ერთი სოციალური სისტემის მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოების ეგზისტირების პროცესში. აქ საერთოდ არ არის ასახული კლასიკური ენების, ანტიკური ეპოქის კულტურის და მითოლოგიის ცოდნა. ასევე გაუგებარია რა კავშირშია ანტიკური რელიგიური წარმოდგენების ცოდნა თანამედროვე საზოგადოების ეგზისტირების პროცესთან. აგრეთვე გაურკვეველია როგორ იღებს კურსდამთავრებული მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჟანრების ტრანსფორმაციის ეტაპების შესახებ ცოდნას, როდესაც პროგრამა მიზნად ისახავს განსხვავებული ქვეყნების და ისტორიული პერიოდების, ბერძნულ-რომაული და შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტების სწავლებას. მეორე შედეგი გარკვეულწილად ითვალისწინებს მიზნის იმ ნაწილს, რომლის მიხედვით კურსდამთავრებული კრიტიკულად იაზრებს სიძველეთმცოდნეობის დარგს მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ კონტექსტში და ორიენტირებულია დარგში პრობლემების შესწავლასა და კვლევაზე ახალი ორიგინალური მიდგომების გამოყენებით. რაც შეეხება დანარჩენ შედეგებს, ისინი საკმაოდ ზოგადია და რაც მთავარია გაურკვეველია, თუ როგორ მოახდენს კურსდამთავრებული მათ რეალიზებას იმ დროს, როდესაც მიზანსა და შედეგშიც არ არის გარგად გააზრებული სიძველეთმცოდნეობის სფერო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- გამოიკვეთოს სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში კავშირი ისტორიის დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის მიერ;
- შესაბამისობაში მოყვანილი იქნას პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებთან, სწავლების სფეროსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	☐	☒

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით მასში შემავალი ორივე პროგრამისათვის განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასება. პროგრამებს აქვთ სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამების განვითარებისათვის, რაც საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს პროგრამების მოდიფიცირებას.

ანალიზი - კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება არის ნათლად ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული და შეესაბამება სტანდარტებს. უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციდან ირკვევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით შემუშავდა კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები და მათი გაზომვის პერიოდულობა. უსდ ახორციელებს კლასტერში წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულების პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს, რომ, წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულები ეფუძნება მათ პრაქტიკას. კვლევითი და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგები ფასდება გამჭვირვალედ. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სწავლების სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები ნაცნობია და ისინი იღებენ მხარდაჭერას უსდ-ს მხრიდან სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)[8]

აღწერა - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს სწავლის შედეგების შეფასება, რაც ითვალისწინებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. მომავალში, განსაზღვრული გეგმის შესაბამისად, მოხდება შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. უნივერსიტეტში შექმნილი მექანიზმი ითვალისწინებს შესაბამისი კომისიის/კომისიების შექმნას სწავლების შედეგების შეფასების მიზნით, რაც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პრეზენტაციის/რეფერატის მასალების მონიტორინგი; დასკვნითი გამოცდების წერითი ნამუშევრების მონიტორინგი; კომისიის წევრთა გასაუბრება დადებითი შედეგების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია განხილული იქნა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რომლებმაც თავის მხრივ მონაწილეობა მიიღეს პროგრამაში მის ასახვაში. შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს შეფასების დასრულების შემდეგ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს. შეფასების შედეგები ნათლად აღწერს სტუდენტის ცოდნას და უნარებს, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია და მის შესაბამისად განხორციელებული სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი კი იძლევა მისი მიღწევის შეფასების და გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.

ანალიზი - ისტორიის საბაკალავრო პროგრამისათვის შემუშავებულია სწავლის თითოეული შედეგის შეფასების მექანიზმები, სადაც ასახულია, შეფასების ფორმა (შუალედური შეფასება, დასკვნითი გამოცდა), შეფასების მეთოდი (რეფერატი, პრეზენტაცია, წერითი გამოცდა, საბაკალავრო ნაშრომის დაცვა-პრეზენტაცია) და მტკიცებულება. საანგარიშო პერიოდად განსაზღვრულია VI, VII და VIII სემესტრები. სამიზნე ნიშნული წარმოდგენილია შემდეგი სახით: სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 15% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს. სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება გამჭვირვალეა და მიმდინარეობს თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკის შესაბამისად. უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების პერიოდიული შეფასების სისტემა,

[8] <u>საჭიროების შემთხვევაში</u> აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

რომელიც ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას, იყენებს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რაც იძლევა სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის შესაძლებლობას. სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართული არიან დაინტერესებული მხარეები. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის, რომელსაც პერიოდულად ადარებენ სწავლის შედეგების შეფასების პერიოდული მონიტორინგის მეშვეობით. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობას იღებდა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შედგენაში და შესაბამისად კარგად იცნობს და იყენებს მათ. უსდ - ახორციელებს სამივე საფეხურის პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის შედეგების გამოყენებას პროგრამების შემდგომი განვითარება-გაუმჯობესებისათბის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

აღწერა - თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სიძველეთმცოდნეობის დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომელთა მეშვეობით დგინდება თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოყენებულია სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასება. პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია საგნობრივი/კრებსითი გამოცდა, პროექტი, სპეციალობის პრაქტიკა, ინტერდისციპინალური სემინარი და სხვ. არაპირდაპირი შეფასებისას გამოყენებული იქნება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დაკვირვება; დამსაქმებელთა, პრაქტიკის ხელმძღვანელის, კოლეგების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად და მათი ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, რასაც მოჰყვება მიგნებების იდენტიფიცირება, ანალიზის პროცესი, დასკვნები, რჩევები პროგრამის განვითარებისათვის. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის, რაც საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას ითვალისწინებს. სწავლის შედეგების მეთოდოლოგია განხილული იქნა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში მის ასახვაში. შესაბამისად, ისინი იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

ანალიზი - სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შესწავლამ ცხადყო, რომ სწავლის თითოეული შედეგისათვის შემუშავებულია შეფასების მეთოდი, შეფასების ინდიკატორები და მათი შეფასების რუბრიკა, შეფასების ფორმა (კრებსითი გამოცდა), შეფასების პერიოდი. I შედეგზე გადის შემდეგი სასწავლო კურსები: ძველი ისტორიის შესავალი; საქართველოს უძველესი და ძველი ისტორია; ბერძნულ-რომაული ლიტერატურა; ძველი ქართული ლიტერატურა; რელიგიის თეორიები. II შედეგზე გადის შემდეგი სასწავლო კურსები: ანტიკური კულტურის ისტორია; ძველი ქართული რწმენა-წარმოდგენები; ბერძნულ-რომაული ლიტერატურა; ძველი ქართული ლიტერატურა; სამართლიანობა და ზნეობრიობა

პლატონის მიხედვით. III შედეგზე გადის შემდეგი სასწავლო კურსები: ქართულ ხელნაწერთა როლი მსოფლიო კულტურის საგანძურში; სამართლიანობა და ზნეობრიობა პლატონის მიხედვით; ინტერდისციპლინური სემინარი-მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის მოწყობა ძველ საზოგადოებებში; IV შედეგზე გადის შემდეგი სასწავლო კურსები: კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში; ინტერდისციპლინური სემინარი-მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის მოწყობა ძველ საზოგადოებებში; სამაგისტრო ნაშრომი. V შედეგზე გადის შემდეგი სასწავლო კურსები: ინტერდისციპლინური სემინარი-მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის მოწყობა ძველ საზოგადოებებში; სამაგისტრო ნაშრომი. VI შედეგზე გადის შემდეგი სასწავლო კურსები: კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში; ინტერდისციპლინური სემინარი-მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის მოწყობა ძველ საზოგადოებებში; სამაგისტრო ნაშრომი. VII შედეგზე გადის შემდეგი სასწავლო კურსები: კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში; სამართლიანობა და ზნეობრიობა პლატონის მიხედვით; სამაგისტრო ნაშრომი. VIII შედეგზე გადის შემდეგი სასწავლო კურსები: სამაგისტრო ნაშრომი. სამაგისტრო პროგრამისათვის ასევე განსაზღვრულია თითეული სწავლის შედეგის შეფასების არაპირდაპირი მეთოდები, პერიოდი და სამიზნე ნიშნულები, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი სახით: წარმატებული - 20 %; დამაკმაყოფილებელი - 70%; წარუმატებელი - 10%.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ პროგრამა სწავლის შედეგებზე გადის 11 სავალდებულო სასწავლო კურსით და კვლევითი კომპონენტით: ძველი ისტორიის შესავალი; საქართველოს უძველესი და ძველი ისტორია; ბერძნულ-რომაული ლიტერატურა; ძველი ქართული ლიტერატურა; რელიგიის თეორიები; ანტიკური კულტურის ისტორია; ძველი ქართული რწმენა-წარმოდგენები; სამართლიანობა და ზნეობრიობა პლატონის მიხედვით; ქართულ ხელნაწერთა როლი მსოფლიო კულტურის საგანძურში; ინტერდისციპლინური სემინარი-მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის მოწყობა ძველ საზოგადოებებში; კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში; სამაგისტრო ნაშრომი. გამოვლინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში არანაირი წვლილი არ აქვთ ისეთ სავალდებულო სასწავლო კურსებს, როგორიცაა: ლათინური ენა 1, ლათინური ენა 2, ბერძნული ენა 1, ბერძნული ენა 2, საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური ასპექტები, მითოლოგიის არსი. აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სამაგისტრო პროგრამის შედეგები არ არის სწორად ჩამოყალიბებული და მიზნის შესაბამისი. მაგალითად, პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს კლასიკური ენების (ლათინური, ბერძნული) ენების ასპექტების მცოდნე სპეციალისტი, რაც საერთოდ არ არის გათვალისწინებული სწავლის შედეგებში და შესაბამისად, ვერ მოხვდა ვერც სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში.

აღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება, რომ სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ვერ ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას და შესაბამისად, ვერ იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში ნაკლებად ჩანს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. აკადემიური და მოწვეული პერსონალი სრულყოფილად ვერ იღებდა მონაწილეობას სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შედგენაში. მიუხედავად იმისა, რომ

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება გამჭვირვალეა და იყენებს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, ის ვერ მიმდინარეობს სფეროს სპეციფიკის შესაბამისად და ვერ უზრუნველყოფს მათ გამოყენებას პროგრამის შემდგომი განვითარება-გაუმჯობესებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორია - საბაკალავრო პროგრამა
- სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა
- კლასტერის თვიშეფასების ანგარიში;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმები
- სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შედგენისას გამოყენებული იყოს ერთნაირი მიდგომები და პრინციპები.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გადამუშავდეს პროგრამის მიზანთან სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	☐	☒

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი შედგენილია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. განსაზღვრულია თითოეულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. თითოეული პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება. თითოეულ სემეტრში წარმოდგენილი სასწავლო კურსები

ლოგიკურ ბმაშია როგორც ერთმანეთთან, ისე მომდევნო სემეტრის სასწავლო კურსებთან. თითოეულ პროგრამაში მოცემული სავალდებულო და სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ დასახულ სწავლის შედეგზე გასვლას, რომელიც შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ანალიზი - ისტორიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. სასწავლო კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურია. პროგრამის ხანგრძლივობა, შინაარსი და მოცულობა სწავლების საფეხურის ადექვატურია. პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას უზრუნველყოფს ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები 120 კრედიტის მოცულობით. საკმაოდაა წარმოდგენილი ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები (20 კრედიტი).

სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და დაინტერესებული მხარის, მათ შორის გარედან მოწვეული ექსპერტების ჩართულობით. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

აღწერა - ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება მის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 წელი. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 ECTS კრედიტი. თითოეულ სასწავლო წელს სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. სტუ-დენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში კრედიტების რაოდენობა იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა. პროგრამაში შედის საუნივერსიტეტო თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები (40 კრედიტი), ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (120 კრედიტი), ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (20 კრედიტი), დამატებითი (minor) სპეციალობა/თავისუფალი კრედიტები (60 კრედიტი).

ანალიზი - საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის

გამოყენებით და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას, სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან – ისტორიის ბაკალავრი. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და მათი თითოეული კომპონენტი დალაგებულია ლოგიკურად, თანმიმდევრობით და ყოველ მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. საბაკალავრო პროგრამაში ძირითადად ასახულია სფეროს თანამედროვე მიღწევები. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

აღწერა - თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შედგენილია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, ხოლო შინაარსი ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებს, სიძველეთმცოდნეობის სფეროს თანამედროვე მიღწევებს, სტრუქტურა კი უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა განსაზღვრულია შემდეგი სახით: სავალდებულო სასწავლო კურსები - 104 კრედიტი: რომელიც მოიცავს 17 სასწავლო კურსს, 6 კრედიტის მოცულობით ინტერდისციპლინარულ სემინარს, 20 კრედიტს სამაგისტრო კვლევას; ასევე, 16 კრედიტი არჩევით კურსებს მიენიჭება.

ანალიზი - სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და დაინტერესებული მხარეების, მათ შორის გარედან მოწვეული ექსპერტების ჩართულობით. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას. თუმცა პროგრამის შინაარსი ნაკლებად ასახავს მიმართულების სფეროს შინაარსს, რის გამოც რთულია სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე პროგრამის შინაარსი ნაკლებადაა შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან – სიძველეთმცოდნეობის მაგისტრი. პროგრამის შინაარსში შეტანილია ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც არ შეესაბამება სწავლის სფეროს, მოკლებულია ფუნქციურ დანიშნულებას და ვერ იძლევა მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ასევე პროგრამა არ იზიარებს ამ მიმართულების საუკეთესო და თანამედროვე გამოცდილებას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიუხედავად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა (პროგრამების საკრედიტაციოდ მომზადებისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომების 7 ოქმი), პროგრამებზე მუშაობისას ნაკლებად იყვნენ ჩართული დარგის სპეციალისტები, მათ შორის მოწვეული პერსონალი. ნათელია, რომ მათი ჩართულობა ძირითადად გამოიხატა საკუთარი სილაბუსების მოწოდებით და ისინი არ იყვნენ ჩართული პროგრამის მიზნის, სწავლის შედეგების და შინაარსის ჩამოყალიბებაში. ზოგიერთ

მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება აკრედიტაციის ვიზიტისას ვერ მოხერხდა (ირინა დარჩია, ლიკა გორდეზიანი). წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში შეტანილი იქნა ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც აცდენილია სიძველეთმცოდნეობის პრაქტიკის საუკეთესო მაგალითებს და სათაურითა და შინაარსით გადის სხვადასხვა დარგის კომპეტენციებზე.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა „ჰიბრიდულია", აცდენილია ქრონოლოგიურ ქარგასა და მიმართულების სფეროებს და ნაკლებად ითვალისწინებს საზღვარგარეთის უნივერსიტეტების სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების საუკეთესო გამოცდილებას; შდრ.

- https://ancientstudies.harvard.edu/ მაგისტრატურის დონე;
- https://www.eckerd.edu/ancient-studies/major/#:~:text=Ancient%20Studies%20is%20an%20interdisciplinary,living%20in%20the%20ancient%20world. - ბაკალავრიატის დონე;
- https://www.collegeraptor.com/Majors/Details/30.2201/Level/Bachelors-degree/State/All/Ancient-Studies-Civilization/ - ბაკალავრიატის დონე;
- https://bulletin.columbia.edu/columbia-college/departments-instruction/ancient-studies/ - ბაკალავრიატის დონე;
- https://www.wlu.ca/programs/arts/undergraduate/ancient-studies-ba/index.html - ბაკალავრიატის დონე;

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში გამოიკვეთოს კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გაითვალისწინებს ძირითადი სასწავლო სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე ან საკითხზე და გამორიცხავს არამიზნობრივი და არათემატური კურსების ჩართულობას. ასევე საჭიროა სამაგისტრო პროგრამაში დაზუსტდეს, შეიცვალოს და დაკონკრეტდეს ქრონოლოგიური ჩარჩოები (ძველი პერიოდი გაემიჯნოს შუა საუკუნეებს) ან მოხდეს პერიოდებს შორის ურთიერთკავშირის დასაბუთება შესაბამისი თემატიკის აქცენტირებით შექმნილ კურსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორია - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- უმაღლესი პროგრამების

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, რომ პროგრამის ხანგრძლივობის განსაზღვრისას გარდა 4 წლისა ასევე მიეთითოს სემეტრების რაოდენობაც - 8;
- სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურის განსაზღვრისას ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ნაცვლად გამოყენებულ იქნას შემდეგი ფორმულირება: „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები“, ხოლო არჩევითი კურსების ნაცვლად კი „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები“.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- პროგრამის სტრუქტურა მოვიდეს სრულ შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან და მასში აისახოს სწავლის სფეროს გამოცდილება, მათ შორის საერთაშორისო.
- გამოიკვეთოს კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გაითვალისწინებს ძირითადი სასწავლო სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე ან საკითხზე.
- დაზუსტდეს, შეიცვალოს და დაკონკრეტდეს ქრონოლოგიური ჩარჩოები ან მოხდეს პერიოდებს შორის ურთიერთკავშირის დასაბუთება.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	☐	☒

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით კლასტერში შემავალი ისტორიის საბაკალავრო და სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამების თითოეული სასწავლო კურსის შედეგი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსები ვითარდება ქრონოლოგიურად, ლოგიკური თანმიმდევრობით და კონკრეტული სასწავლო კურსი საჭიროების შემთხვევაში მომდევნო სასწავლო კურსის წინაპირობას წარმოადგენს. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის აღმწერს, დარგობრივ მახასიათებელს, პროგრამის სწავლის შედეგს. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის იდენტიფიცირებულია სასწავლო კურსები, რომლებსაც პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი გაჰყავთ: გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცებაზე. კრედიტების რაოდენობა, ისევე როგორც საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს. გათვალისწინებულია სასწავლო

კურსის სპეციფიკა და საშუალო მოსწრების სტუდენტისათვის საჭირო დრო. თითოეული კურსის ან ბლოკის ხელმძღვანელმა განსაზღვრა თუ რომელი შედეგი იქნებოდა მისი კურსის სწავლის შედეგების განსაზღვრელი და შემუშავდა სწავლის შედეგების რუკა, დაზუსტდა პროგრამის სტრუქტურა და წინაპირობები. თითოეული კურსისათვის სწავლების კონცეფიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა მიზეზობრივი კავშირი სხვადასხვა კურსსა და კომპონენტს შორის. სილაბუსებში გათვალისწინებული სასწავლო მასალა ეფუძნება სფეროს აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ანალიზი - ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსისთვის/საგნისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება ამ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თუმცა არის მცირე ხარვეზებიც: ზოგიერთ სილაბუსში დასახელებული ლიტერატურა მოძველებულია და ასევე არ არის მითითებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსების ნაწილის შინაარსი და შესაბამისად, კრედიტების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კურსების ნაწილი ასევე დარგთან აცდენილია როგორც ქრონოლოგიური, ისე გეოგრაფიული თვალსაზრისით და არ შეესაბამება კლასტერს და სწავლების საფეხურს. სწავლის სფეროს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები დამოკიდებულია მის შინაარსზე და დარგთან უნდა იყოს რელევაციაში. ამ თვალსაზრისით, პროგრამაში წარმოდგენილი ნაწილი ძირითადი და არჩევითი კურსების განსაზღვრა მოკლებულია დარგთან კორელაციას და შესაბამისად, დარგის შედეგებზე ვერ გადის. კურსების სათაური და შინაარსი ხშირ შემთხვევაში აცდენილია დარგს და არ ექვემდებარება დარგის კლასიფიკატორისა და დარგის ჩარჩოს დაკანონებულ მოთხოვნებს, ან უფრო შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

აღწერა - თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით უზრუნველყოფილია საგანამანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რაც თავის მხრივ კორელაციაშია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგს. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ასახავს დარგის უახლეს მიღწევებს და ემსახურება სწავლის შედეგზე გასვლას. მუდმივად მიმდინარეობს ახალი სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა და სილაბუსების განახლება. თვიშეფასების ანგარიშის თანახმად, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ანალიზი - პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 120 კრედიტის ოდენობით სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას. საქართველოს ისტორია წარმოდგენილია 4 სალექციო კურსით, ასევე ისწავლება ისტორიის მეცნიერების შესავალი, საქართველოს არქეოლოგია, საქართველოს ეთნოლოგია, ქართული ემიგრაციის ისტორია, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია, კავკასიის ხალხთა ისტორია, რაც სრულად ასახავს ჩვენი ქვეყნის ისტორიის საკვანძო საკითხებს უძველესი დროიდან თანამედროვეობის ჩათვლით წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების და ისტრიოგრაფიული მასალების მეშვეობით. მსოფლიო ისტორია წარმოდგენილია 10 სასწავლო კურსით, რაც კურსდამთავრებულს აძლევს ცოდნას ძველი აღმოსავლეთის, ევროპის, ამერიკის, რუსეთის, ირანისა და ოსმალეთის ისტორიის ძირითადი ასპექტების, მათ შორის საქართველოსთან ურთიერთობების კონტექსტში. ამავე მიზანს ემსახურება არჩევითი სასწავლო კურსებიც, რომლებიც ასევე იძლევიან ცოდნას ისტორიის დამხმარე დისციპლინების, სხვადასხვა რელიგიების, მათ შორის საქართველოს ეკლესიის შესახებ. თუმცა კარგი იქნებოდა, რომ ამ ფონზე წარმოდგენილი ყოფილიყო ისტორია ბიზანტიის იმპერიისა, რომელთანაც თითქმის 10 საუკუნის მანძილზე ჩვენს ქვეყანას მჭიდრო პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდა, რამაც უდიდესი გავლენა იქონია საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების საკმაოდ დიდ ნაწილში (14) გამოყენებულია 2010 წლამდე გამოცემული სავაალდებულო ლიტერატურა. ეს სასწავლო კურსებია: დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორია (XVI ს.-1914 წ.) - ყველაზე ახალი წიგნი არის 2004 წლის; შუა საუკუნეების ისტორია (განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები) - ყველაზე ახალი წიგნი არის 2004 წლის; დიპლომატიკა - ყველაზე ახალი წიგნი არის 1984 წლის; ეპიგრაფიკა - ყველაზე ახალი წიგნი არის 2012 წლის; ნუმიზმატიკა - ყველაზე ახალი წიგნი არის 2009 წლის; ოსმალეთის ისტორია - ყველაზე ახალი წიგნი არის 2011 წლის; რუსეთის ისტორია - ყველაზე ახალი წიგნი არის 2006 წლის; საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე) – ყველაზე ახალი წიგნი არის 2004 წლის; საქართველოს ეთნოლოგია - ყველაზე ახალი წიგნი არის 2010 წლის; საქართველოს ისტორია (XIII-XVIII სს.) - ყველაზე ახალი წიგნი არის 2008 წლის; საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია - ყველაზე ახალი წიგნი არის 2009 წლის; ძველი ქართული საეკლესიო და საისტორიო მწერლობის ენა - ყველაზე ახალი წიგნი არის 2008 წლის; ძველი აღმოსავლეთის ისტორია - ყველაზე ახალი წიგნი არის 1999 წლის; ძველი საბერძნეთის ისტორია - ყველაზე ახალი წიგნი არის 2005 წლის. დანარჩენ სასწავლო კურსებში გამოყენებულია ერთი ან რამოდენიმე 2015 წლის შემდეგ გამოცემული სავალდებულო ლიტერატურა, თუმცა მათში მაინც გვხდება 2000 წელზე ძველი სახელმძღვანელოები. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა ახალი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა.

ასევე სამი სასწავლო კურსის სილაბუსში გამოვლინდა საკმაოდ დიდი რაოდენობის სავალდებულო ლიტერატურა: ისტორიის ფილოსოფია - 34; საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია (XIX-XX სს.) – 18; ნუმიზმატიკა - 24. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განისაზღვრება 5 კრედიტით და დამოუკიდებელი მუშაობის საათები შეადგენს 78 საათს. მიგვაჩნია, რომ ამ ხნის მანძილზე არარეალურია სტუდენტმა შესძლოს ზემოთდასახელებული რაოდენობის სახელმღვანელოების და სხვა სასწავლო მასალის დამუშავება და შესწავლა. შესაბამისად, აუცილებელია ამ სასწავლო კურსების ავტორებმა სწავლებისას გამოიყენენონ საგნის კრედიტების ადეკვატური სავალდებულო სახემძღვანელოების რაოდენობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 – (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

აღწერა - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. თითოეული სასწვლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა და ადეკვატურობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ასახავს დარგის უახლეს მიღწევებს და ემსახურება სწავლის შედეგზე გასვლას.

ანალიზი - სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის და სასწავლო კურსების ანალიზმა ცხადყო, რომ მხოლოდ კურსების ნაწილი შეესაბამება დარგის სფეროს და ისინი საერთოდ არ გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგებზე გასასვლელად. მაგალითად, ლათინური ენა 1, ლათინური ენა 2, ბერძნული ენა 1, ბერძნული ენა 2, საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური ასპექტები, მითოლოგიის არსი, თუმცა ამ ორი უკანასკნელის სასწავლო კურსის შინაარსი და თემატიკა ნაკლებად არის კორელაციაში სიძველეთმცოდნეობის სფეროსთან და სწავლების შესაბამის საფეხურთან. საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა აჩვენებს, რომ სიძველეთმცოდნეობის მიმართულება ფართო დარგია, ძირითადად ორიენტირებულია ძველი და ანტიკური ცივილიზაციების ისტორიაზე, არქეოლოგიაზე და კულტურის შესწავლაზე და მისი ქრონოლოგიური ჩარჩო ძირითადად განისაზღვრება წინარეანტიკური და ანტიკური ხანით, თუმცა დასაშვებია გარკვეული გადახრაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესასწავლი რეგიონების ისტორია და კულტურა გარკვეულ ბმაშია ძველ და ანტიკურ ცივილიზაციებთან. რაც შეეხება გეოგრაფიულ რეგიონს, ის მოიცავს მახლობელ აღმოსავლეთს, ჩრდილოეთ აფრიკას და ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზს და ასევე იმ რეგიონებს (ჩრდილოეთ აფრიკა და დასავლეთ აზიის სახელმწიფოები და კულტურები ატლანტიკიდან შუა აზიამდე), რომლებმაც განიცადეს ბერძნულ/რომაული კულტურის გავლენა. ამ არეალში იგულისხმება ძველი პერიოდის საქართველოც-ბერძნული კოლონიზაცია, გვიანი ანტიკური ხანა, ურთიერთობები რომის იმპერიასთან. სიძველეთმცოდნეობის მიმართულება სხვა ძველი ენების გარდა (მაგ. ეგვიპტური, შუმერული, ხეთური და სხვ.,) ითვალისწინებს

კლასიკური ფილოლოგიის (ენების და ლიტერატურის) შესწავლას. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურაში თვალშისაცემია ბერძნულ-რომაული არქეოლოგიის კურსების არ არსებობა. თუ აქცენტი კლასიკურ სამყაროზეა, ძირითად კურსებში უნდა იყოს როგორც საბერძნეთის, ასევე რომის არქეოლოგია, რომ არაფერი ვთქვათ ამ ქვეყნების ისტორიაზე. რადგანაც პროგრამა საქართველოში შემუშავდა, შესაბამისად, სრულად შესაძლებელია, რომ მასში ფართოდ იყოს წარმოდგენილი ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობების საკითხების შესწავლა. მით უმეტეს, რომ ამ თემასთან დაკავშირებით არსებობს ფრიად მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემატიკა წარმოდგენლია რამოდენი საკითხის სახით ცალკეულ სილაბუსებში.

ამ თვალსაზრისით პროგრამის სწავლის შედეგებზე გასასვლელად გამოიყენება სასწავლო კურსი „ძველი ისტორიის შესავალი“, რომელიც თავისი თემატიკით ძირითადად პასუხობს სფეროს შინაარსს და ლიტერატურაც ადეკვატურია. თუმცა ეს დასახელება არ შეესაბამება მაგისტრატურის დონეს, განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტის დონისთვის. ასევე ის შედგენილი არ არის ძველი ისტორიის და ქვეყნების სპეციალისტის მიერ (იხ. CV).

რაც შეეხება სასწავლო კურსს „საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური ასპექტები“, მასში მხოლოდ 4 თემაა ისეთი, რომელიც შეესაბამება სფეროს სპეციფიკას. მათგან სამი თემა, რომელიც ეხება კოლხეთისა და იბერიის სამეფოებს ნაწილობრივ ფარავს „ძველი ისტორიის შესავალში“ და „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის“ ანალოგიურ თემებს. საერთოდ გაუგებარია ამ სასწავლო კურსში ისეთი თემების არსებობა,როგორიცაა საქართველოს არქეოლოგიის ისტორია, უძველესი ჰომინიდების წარმოშობა, ნეოლით-ენეოლითის ეპოქის, ბრინჯაოს ხანის კულტურები და სხვა. გაურკვეველია მათი კავშირი სიძველეთმცოდნეობის სფეროსთან, მით უმეტეს, რომ იკვეთება თემების გადაფარვა პროგრამის სამ სასწავლო კურსში და საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსში „საქართველოს არქეოლოგია“. ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა სასწავლო კურსში გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა. შესაბამისად, ჩნდება შთაბეჭდილება, რომ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის წევრების მოვალეობას შეადგენდა გარკვეული სასწავლო კურსების მომზადება და ისინი ამ დროს არ იყვენენ ერთმანეთთან კონტაქტში და არც პროგრამის ხელმძღვანელებს მიუქცევიათ ამ საკითხისათვის ყურადღება. ასევე აღსანიშნავია, რომ საკითხების დიდი ნაწილი არქეოლოგიის სფეროა, მაგრამ წინააღმდეგობაში მოდის Ancient Studies მიმართულებასთან, ხოლო მათი განმახორციელებელი პერსონალი ისტორიკოსები არიან. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სასწავლო კურსი „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორია“, რომელიც მიჰყავს ისტორიის მაგისტრს. ამ სასწავლო კურსში სასწავლო ლიტერატურა ხარვეზით არის გადმოცემული მაგ. მითითებულია მრავალტომეული ნაშრომი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტომის და გვერდების მითითების გარეშე. თემა 12, „ქართლის მოქცევა“, გაურკვეველია, არის ის წყაროს ზოგადი განხილვა, თუ მისი შიგთავსის. გაურკვეველია თემები: 13, 14, რომის ნაცვლად უნდა იყოს ბიზანტიის იმპერია, ან აღმოსავლეთ რომი, რაც ქრონოლოგიურად უფრო გამართული იქნება.

სასწავლო კურსის „ინტერდისციპლინური სემინარი: მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის მოწყობა ძველ საზოგადოებებში“, სილაბუსში წარმოდგენილი თემებისა და ლიტერატურის დიდი ნაწილი თემატურად რელიგიასა და ფილოსოფიას შეესაბამება და ცდება ისტორიის და არქეოლოგიის კლასტერს. მითითებულ წყაროებსა და ლიტერატურაზე, მაგალითად, ციცერონი და სხვ., არ არის მითითებული გვერდები. სამუშაო თემაში #8 „რელიგიურობის გაგება ძველ საზოგადოებებში, რელიგიურობის გაგება ანტიკურ ლიტერატურაში“, მითითებულია შუამდინარული ეპოსი „გილგამეშიანი“. გაურკვეველია ანტიკურ სამყაროსთან რა კავშირშია ეს ნაწარმოები. ლიტერატურაში მითითებული სილაბუსის ბოლოში არ არის გატანილი და მოცემული ძირითადი და არჩევითი ლიტერატურის სია.

სასწავლო კურსი „რელიგიის თეორიები“არ ექვემდებარება დარგის კლასიფიკატორისა და დარგის ჩარჩოს დაკანონებულ მოთხოვნებს. ძირითად ლიტერატურაში შეტანილია გერმანულენოვანი ავტორები, მაგისტრანტ სტუდენტს პროგრამის წინაპირობებიდან გამომდინარე, არ აქვს განსაზღვრული გერმანული ენის ცოდნა., შესაბამისად, გერმანულენოვანი ლიტერატურა არ უნდა იყოს მითითებული სილაბუსში. კურსი ცდება ძველ სამყაროს და გადმოდის თანამედროვეობაში. თავისი შინაარსით კურსი განკუთვნილია მიმართულებისათვის “რელიგიათმცოდნეობა“. კურსი მიჰყავს ფილოსოფიის დოქტორანტს. კურსი სათაურით და შინაარსით არ შეესაბამება ძირითადი კურსის სტატუსს, მაგისტრატურის დონეს და აცდენილია კლასტერს.. მაგ. თემა 1. სტარტი. რელიგიის არსი, ცნება და საგანი. ამ ეტაპზე მაგისტრმა იცის რელიგიის არსი. ზოგიერთი სალექციო თემა ძველი ისტორიული პერიოდიდან ამოვარდნილია და გაურკვეველი. მაგალითად, თემა 9: ქრისტიანული რელიგია და ნიჰილიზმი, როგორც ურთიერთგანმსაზღვრელნი II : ნიცშე, ნიჰილიზმი და რელიგიის კრიტიკა; თემა 12. საერთაშორისო დიალოგი თანამედროვე მულტიკულტურულ სამყაროში. ჩ. ტეილორი, გაურკვეველია თუ რატომ გვჭირდება სეკულარიზმის რადიკალური რედეფინიცია, სიძველეთამცოდნეობის პროგრამის ფარგლებში.

„ბერძნული ენა 1-2“ ორ სემესტრიანი სასწავლო კურსია, სასწავლო კურსის მიზანი ითვალისწინებს: „შეისწავლოს ძველი ბერძნული ენის გრამატიკა და ამ ენის ფონეტიკა, მორფოლოგიის და სინტაქსის საფუძვლები; მიიღოს გარკვეული ლექსიკური მარაგი, რომელიც დაეხმარება მას ძველი ბერძნული წყაროების შინაარსის გაგებაში. „ბერძნული ენა 2“ სასწავლო კურსის მიზანში გაწერილია - „შეისწავლოს ძველი ბერძნული ენის მორფოლოგია და სინტაქსური თავისებურებანი; შეასრულოს ძველბერძნულ წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობა“. სილაბუსების კრედიტების და კურსების ხანგრძლივობა მიზნებთან და შედეგებთან აცდენილია. იხ.სწავლის შედეგები,უნარი: „•ლექსიკონის დახმარებით იაზრებს ძველბერძნული წყაროების შინაარსს და საჭიროებისას ახორციელებს მათ თარგმნას; •შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციებისა და ლექსიკური მარაგის საშუალებით ლოგიკურად აყალიბებს ინფორმაციის არსს ბერძნულ ენაზე წერითი და ზეპირი ფორმით“. პირველი უნარი წინააღმდეგობაში მოდის მეორე უნართან, თუ მაგისტრანტი მხოლოდ ლექსიკონის დახმარებით მუშაობს, ის ვერ შეძლებს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას - “ლოგიკურად აყალიბებს ინფორმაციის არსს ბერძნულ ენაზე წერითი და ზეპირი ფორმით“. სასწავლო კურსებისათვის „ბერძნული ენა 1 და 2“, გამოყოფილი კრედიტები და საათების რაოდენობა არასაკმარისია ძველი ბერძნული ენის ცოდნისთვის.

სასწავლო კურსის „ბერძნული ენა 2“ ნაწილში - „სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან“, გაურკვეველია „ცოდნა და გაცნობიერების“ ნაწილში რა მიმართებაშია ლათინური ენა ბერძნულთან- „სიღრმისეულად იაზრებს ლათინური ენის გრამატიკას და მის თავისებურებებს“. ასევე ამ სილაბუსში „სწავლის შედეგები“ცოდნა და გაცნობიერება სილაბუსის ავტორი მიიჩნევს, რომ, „სიღრმისეულად იაზრებს ლათინური ენის გრამატიკას და მის თავისებურებებს“. რატომ კეთდება ლათინურზე ასეთი აქცენტი ბერძნული ენის შემთხვევაში? ეს ნაწილი გაურკვეველია.

სასწავლო კურსი - „ლათინური ენა 1“. ლექცია 1 „ლათინური ენა (მოკლე შესავალი) ითვალისწინებს ლათინური ანბანის (ხმოვნები, დიფთონგები, თანხმოვნები) და გრამატიკის საწყისი დონის შესწავლას აღსანიშნავია, რომ ამავე ლექციაზე განიხილება ლათინური ტექსტი „რომაელები და მათი მეზობლები“, მაშინ, როცა სტუდენტს ჯერ კიდევ არ აქვს შესწავლილი მინიმალურ დონეზე გრამატიკა და არ აქვს ლექსიკური მარაგი, როგორ ახერხებს ის მისთვის უცნობი ტექსტის თარგმნას. ამავე სასწავლო კურსის ცოდნა და გაცნობიერება „უნარის დონე“ არ შეესაბამება სამაგისტრო დონეს: “თარგმნის მარტივ ლათინურენოვან ტექსტებს ლექსიკონის დახმარებით და იაზრებს მათ შინაარსს“. თუ საწყის ცოდნაზეა საუბარი, მაშინ უნდა დაერქვათ „ელემენტარული ლათინური 1“ და ა.შ. ენის დონეების დიფერენცირება არის აუცილებელი.

სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში“ მიზანია “შეისწავლოს სიძველეთმცოდნეობასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები, აქტუალური თემები და უახლესი პრობლემატიკა“. სწავლის შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება) “განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს სიძველეთმცოდნეობასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს“. თუმცა სასწავლო კურსი ძირითადად ორიენტირებული კლასიკური ფილოლოგიის დარგზე, II ლექცია იწყება თემებით, რომელიც კლასიკურ ფილოლოგიას უკავშირდება. III ლექცია ლათინურ ფილოლოგიას. გაურკვეველია V თემა, „არქეოლოგია. მიკენოლოგია. ნუმიზმატიკა“. ეს თემა არ ეხება ამ დარგების კვლევის მეთოდებს, ხოლო ნუმიზმატიკური მასალა მიკენოლოგიის შემთხვევაში (ამ პერიოდის) არ არსებობს. გაურკვეველია თემა VII, ბერძნულ-რომაულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული სხვა დარგები: ხელოვნება. მუსიკა და ცეკვა. მეცნიერება და ტექნოლოგიები. ანტიკური რელიგია და მითოლოგია. სამართალი. სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ეკონომიკა და ფსიქოლოგია. აქაც არ ჩანს რომ აქცენტი კეთდება ამ დარგების კვლევის მეთოდებზე. მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინური პროგრამის შემთხვევაში მეთოდები უნდა იყოს განსხვავებული და საკვლევ სფეროებთან რელევაციაში მოსული.ავტორის მიერ შედგენილი სილაბუსი რელევაციაში მოდის „კლასიკურ ფილოლოგიასთან“, ამას ადასტურებს როგორც სილაბუსის შინაარსი, ასევე გამოყენებული ლიტერატურა და მისი კომპეტენციები.

სასწავლო კურსი - „მითოლოგიის არსი“, ბუნდოვანია თემა II, სათაურით, „მითები სამყაროს შემოქმედების შესახებ“, „სამყაროს შემოქმედება“ ასეთი დებულება არ არსებობს, თუ საუბარია კრეაციონიზმზე, მაშინ სწორი ტერმინია „შესაქმე“ ; ბუნდოვანია თემა XII, მითის კომერციალიზაცია. კურსი თავისი შინაარსით და სათაურით არ შეესაბამება მაგისტრატურის დონეს, განკუთვნილია ბაკალავრი სტუდენტის დონისთვის. შდრ. https://ancientstudies.harvard.edu/academic-year-2020-2021

სასწავლო კურსი - „სამართლიანობა და ზნეობრიობა პლატონის მიხედვით“ აცდენილია ისტორიის და არქეოლოგიის კვლევის ინტერესებს და ფოკუსს. საუკეთესო შემთხვევაში უნდა იყოს არჩევითი, რადგანაც თავისი მიზნებით და შედეგებით ვერ გადიის ისტორიისა და არქეოლოგიის კლასტერზე.

სასწავლო კურსის „ქართულ ხელნაწერთა როლი მსოფლიო კულტურის საგანძურში“ სილაბუსი კლასტერულად აცდენილია სიძველეთმცოდნეობის თემატიკას ასევე გაუმართლებელია მისი, როგორც ძირითადი საგნის სტატუსი. არ არის გათვალისწინებული ქრონოლოგია, რადგან გადის შუასაუკუნეებზე.

სასწავლო კურსი „ძველი ქართული ლიტერატურა“ აცდენილია კლასტერს, სიძველეთმცოდნეობის სფეროს და ქრონოლოგიურ პერიოდს. სასწავლო კურსის მიზანში გაწერილია:“შეისწავლოს IV-XVIII სს-ის ქართული საერო და სასულიერო სიტყვიერი კულტურა, მისი შინაარსობრივ-თემატური მრავალფეროვნება, იდეურ-აზრობრივი სიღრმე, ლიტერატურულ-მხატვრული სრულყოფილება“. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებს უთხრა, რომ ეს სასწავლო კურსი მაინც შეიტანეს პროგრამაში, მიუხედავად იმისა, რომ ის ქრონოლოგიურად და შინაარსობრივად არ მოიცავს სიძველეთმცოდნეობის სფეროს, რადგანაც ქართული ლიტერატურის უფრო ძველი ნიმუშები არ არსებობს.

აღნიშნული ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი კურსების განსაზღვრა მოკლებულია დარგთან რელევაციას და შესაბამისად, დარგის შედეგებზე ვერ გადის. სასწავლო კურსების სათაური და შინაარსი ხშირ შემთხვევაში აცდენილია დარგს, არ ემთხვევა ისტორიის და არქეოლოგიის დარგის კლასიფიკატორისა და დარგობრივი მახასაითებლის მოთხოვნებს, ზოგჯერ შინაარსით ან ცალკეული საკითხებით ფარავს ერთმანეთს, ხოლო ზოგიერთი მათგანი უფრო შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. სიძველეთმცოდნეობა ფართო დარგია და მასში შეიძლება კონცენტრირება მოხდეს ანტიკურ ეპოქების კულტურასა და ისტორიაზე (რაც ცალკე მოდულში, ან კონცენტრაციაში უნდა გაერთიანდეს). პროგრამა ასევე არ ითვალისწინებს ანტიკური სამყაროს ისტორიის, კულტურის და მისი გავრცობისა და გავლენების შემსწავლელ კურსებს. მაგალითად, არ არის შემოთავაზებული ისეთი ძირითადი კურსები, როგორიც არის ბერძნული კოლონიზაცია, ელინისტური ქვეყნების ისტორია და კულტურა, გვიანანტიკური რომის იმპერიის ისტორია და კულტურა, საბერძნეთის არქეოლოგია, რომის არქეოლოგია (ეპოქების მიხედვით), ანტიკური კულტურის გავლენები საქართველოზე და ა.შ. ამდენად, ამ მოცემულობაში პროგრამა ეფუძნება როგორც ქრონოლოგიურ, ასევე რეგიონულ პრინციპს, მაგრამ პროგრამა ასევე სტუდენტს უნდა სთავაზობდეს ანტიკური კულტურის გარდა, სხვა ძველი სამყაროს ქვეყნების ისტორიას და არქეოლოგიას.

წარმოდგენილი სასწავლო კურსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის სწავლის შედეგებია თანხვედრაში პროგრამის სწავლის შედეგებთან და მათი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამის სწავლის არასრულ შედეგებს. ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრულია კრედიტების და შესაბამისი საათების რაოდენობა. მათ სილაბუსებში მოცემულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დროები, რომელთა შორის თანაფარდობა ადეკვატურია. სასწავლო კურსის/საგნის სილაბუსების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმების მეშვეობით ფასდება

თითოეული სწავლის შედეგი. პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მეტნაკლებად დაფუძნებულია დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე. სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები სილაბუსებსა და კონცეფციებში მეტწილად ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით. სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსში ან კონცეფიაში და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, სააათების განაწილება (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები), ლექტორი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, ძირითადი თემები, შეფასების წესი, ლიტერატურა და სხვა რესურსები, თემატიკა კვირეების მიხედვით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მხოლოდ ერთ სასწავლო კურსშია (საქართველოს უძველესი და ძველი ისტორია) გამოყენებულია 2010 წლამდე გამოცემული სავალდებულო ლიტერატურა. დანარჩენ სასწავლო კურსებში გამოყენებულია ერთი ან რამოდენიმე 2015 წლის შემდეგ გამოცემული სავალდებულო ლიტერატურა, თუმცა მათში მაინც გვხდება 2000 წელზე ძველი სახელმძღვანელოები. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა ახალი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა.

ასევე ოთხი სასწავლო კურსის სილაბუსში გამოვლინდა საკმაოდ დიდი რაოდენობის სავალდებულო ლიტერატურა: რელიგიის თეორიები - 17; ძველი ისტორიის შესავალი - 13; საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური აქცენტები - 30; საქართველოს უძველი საზოგადოების მენტალური ისტორიის რეკონსტრუქცია არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით - 38; თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განისაზღვრება 5 კრედიტით და დამოუკიდებელი მუშაობის საათები შეადგენს 78 საათს. მიგვაჩნია, რომ ამ ხნის მანძილზე არარეალურია სტუდენტმა შესძლოს ზემოთდასახელებული რაოდენობის სახელმღვანელოების და სხვა სასწავლო მასალის დამუშავება და შესწავლა. შესაბამისად, აუცილებელია ამ სასწავლო კურსების ავტორებმა სწავლებისას გამოიყენენონ საგნის კრედიტების ადეკვატური სავალდებულო სახემძღვანელოების რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი.
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა;
- გადაიხედოს სამი სასწავლო კურსის (ისტორიის ფილოსოფია, ნუმიზმატიკა, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია (XIX-XX სს.) სილაბუსი და სავალდებულო ლიტერატურის რიცხვი შემცირდეს საგნის კრედიტების შესაბამის გონივრულ რაოდენობამდე;

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია პროგრამაში აისახოს აფხაზეთის და სამეგრელოს რეგიონის ისტორია და კულტურა ცალკეული სასწავლო კურსების სახით;
- სასურველია პროგრამის სტრუქტურაში შეტანილი იქნას ახალი სასწავლო კურსი - ბიზანტიის ისტორია, ან აისახოს ბიზანტიის ისტორიის ნაწილი სასწავლო კურსში „ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსანთა ეპოქა“;
- სასურველია უფრო აქტიურად წარიმართოს ახალი სასწავლო ლიტერატურის მოძიების პროცესი, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ გაეცნონ დარგში უახლესი კვლევების შედეგებს;
- რადგანაც პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ინგლისური ენის შესწავლას, სასურველია მოძიებული იქნეს ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, განსაკუთრებით მსოფლიო ისტორიის მიმართულებით.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა).

რეკომენდაცი(ებ)ი:

- შეიცვალოს პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსები შესაბამისობაში მოვიდეს სიძველეთმცოდნეობის სფეროს მოთხოვნებთან;

- შეტანილ იქნეს პროგრამაში ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა ანტიკური (ბერძნულ-რომაული) არქეოლოგია;
- შეტანილი იქნეს პროგრამაში ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ასახავს კოლხურ-იბერიული სამყაროს ისტორიას და მათ კავშირებს ანტიკურ სამყაროსთან;
- შეიცვალოს სილაბუსების დასახელება და შინაარსი, რათა შესაბამისობაში მოვიდეს სიძველეთმცოდნეობის სწავლების სფეროსთან და ასევე აღარ მოხდეს გადაფარვა ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორია“, „საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური ასპექტებ“, „ძველი ისტორიის შესავალი“, ასევე მათ წასაკითხად მოწვეული იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალი.
- შეიცვალოს კლასიკური ენების (ლათინური და ბერძნული) სილაბუსების შინაარსი და დონის შესაბამისად ჩამოყალიბდეს ის ცოდნა და უნარები, რომლებზეც გასვლა უფრო რეალისტური იქნება.
- გასწორდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში, მაგალითად, „ბერძნული ენა 2“ - ში, ტექნიკური შეცდომა „ცოდნა და გაცნობიერების“ ნაწილში. „სიღრმისეულად იაზრებს ლათინური ენის გრამატიკას და მის თავისებურებებს“.
- გადავიდეს პროგრამის არჩევით ბლოკში ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა „რელიგიის თეორიები“, „სამართლიანობა და ზნეობრიობა პლატონის მიხედვით“, „ქართულ ხელნაწერთა როლი მსოფლიო კულტურის საგანძურში“, „ძველი ქართული ლიტერატურა“, რადგან ისინი არ ასახავენ სიძველეთმცოდნეობის სფეროს და მათი მეშვეობით გასვლა სიძველეთმცოდნეობის სწავლის შედეგებზე პრაქტიკულად ძნელი წარმოსადგენია.
- სასწავლო კურსის „ბერძულ-რომაული ლიტერატურა“ სილაბუსი გაიყოს ორ ნაწილად „ბერძნული ლიტერატურა“ და „რომაული ლიტერატურა’, რადგანაც ერთი სემეტრის ფარგლებში შეუძლებელია ასეთი მოცულობის მასალის ათვისება, მით უმეტეს ლიტერატურული ნაწარმოებების სრუფალსოვანი გაცნობა.
- პროგრამისთვის შეიქმნას არჩევითი კურსები დამხმარე ისტორიული დისციპლინების ჩართულობით, რომლებიც ფოკუსირებულია ძველი ისტორიის ინტერპრეტაციაზე და რეინტერპრეტაციაზე;
- სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა;
- გადაიხედოს ოთხი სასწავლო კურსის (რელიგიის თეორიები, ძველი ისტორიის შესავალი, საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური ასპექტები, საქართველოს უძველი საზოგადოების მენტალური ისტორიის რეკონსტრუქცია არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით) სილაბუსი და სავალდებულო

ლიტერატურის რიცხვი შემცირდეს საგნის კრედიტების შესაბამის გონივრულ რაოდენობამდე;

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის“, სასწავლო კურსის სილაბუსის თემებში XIII და XIV, რომის ნაცვლად ნაცვლად ჩაიწეროს ბიზანტიის იმპერია, ან აღმოსავლეთ რომი, რაც ქრონოლოგიური და ტერმინოლოგიური თვალსაზრისით უფრო გამართლებული იქნება.
- სასურველია, რომ სასწავლო კურსის „რელიგიის თეორიების“ სილაბუსიდან ამოღებული იქნეს გერმანულენოვანი ლიტერატურა, რადგანაც პროგრამაზე მიღების წინაპირობაში დევს მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნა.
- სასურველია, რომ სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში“ უფრო მეტად ასახავდეს დარგის სპეციფიკას და მასში შემავალი მიმართულებების კვლევის მეთოდებს.
- სასურველია სასწავლო კურსი „მითოლოგიის არსი“ უფრო მეტად ასახავდეს ანტიკური მითოლოგიის ასპექტებს და თემატიკას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	☐	☒

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამ,ა	☐	☐	☐	☒

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით მასში შემავალი პროგრამებზე განსაზღვრულია დაშვების წინაპირობები, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამების შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან, შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. კლასტერში შემავალი პროგრამები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია-საბაკალავრო პროგრამა)

აღწერა - საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის შესაბამისად“. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის

წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ანალიზი - ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურების გამჭირვალე, სამართლიანი და ხელმისაწვდომია. წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა-სამაგისტრო პროგრამა)

აღწერა - სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა და გაიარა გასაუბრება სპეციალობაში. სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო დონეზე. აპლიკანტებს, რომლებსაც საბაკალავრო საფეხურზე განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ენაზე, ან ფლობს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის მიერ გაცემულ B2 (ან უფრო მაღალი) დონის სერტიფიკატს, გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ; აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ან ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ვალდებულია ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონეზე). საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ანალიზი - სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭირვალე, სამართლიანი და ხელმისაწვდომია. წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, დაკავშირებულია სწავლების საფეხურთან, სწავლების ენასთან, თუმცა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მისი კავშირი ნაკლებად ვლინდება. სიძველეთმცოდნეობა (Ancient Studies) საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისათვის ახალი მიმართულებაა, როგორც ბაკალავრიატის, ასევე სამაგისტრო საფეხურისთვის. შესაბამისად, ბუნდოვანია პროგრამაზე დაშვების შემდეგი წინაპირობა: "პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა და გაიარა გასაუბრება სპეციალობაში". გაურკვეველია, თუ რომელ სპეციალობაზეა საუბარი, თუ ბაკალავრის დონეზე არ არსებობს ასეთი პროგრამა. წინაპირობებში არ ჩანს კონკრეტულად რა საგნები იგულისხმება: საქართველოს და მსოფლიოს ისტორია თუ სხვა რამე. თუ აბიტურიენტი მოდის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, მაშინ ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ თუ სხვა რომელიმე სპეციალობა აქვს დამთავრებული, ძველი ისტორია არ უსწავლია და კანონის

შესაბამისად შეუძლია პროგრამაზე ჩაბარება, მაშინ რა საგნებში უნდა გაიაროს გასაუბრება? აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად ვერ იქნება დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორია - საბაკალავრო პროგრამა
- სიძველეთმცოდნეობა-სამაგისტრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- დაკონკრეტდეს მიღების წინაპირობებში თუ რას გულისხმობს „გაიარა გასაუბრება სპეციალობაში“.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია მიღების წინაპირობებში ჩაიწეროს თუ სად იქნება განთავსებული ინფორმაცია მიღების წინაპირობების, ინგლისური ენის გამოცდების და სპეციალობაში გასაუბრების შესახებ, მაგალითად, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა ყველასათვის ხელმისწავდომი იყოს საჭირო ინფორმაცია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	☒	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით მასში შემავალ პროგრამებში გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი (საველე პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი). უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურობას სამეცნიერო მიმართულებებით, რაც გამოხატულია სამეცნიერო კონფერენციებითა და სხვა ტიპის ღონისძიებებით. პროგრამებში ასახული კომპონენტები და უნივერსიტეტის მიერ დასახული გარე აქტივობები ხელს უწყობს სტუდენთა ტრანსფერული უნარების განვითარებას. კლასტერში შემავალი პროგრამები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტის მოთხოვნებთან. პროგრამები და მათი კომპონენტები სწავლის შედეგების შესაბამისად ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებაში, მაგალითად, სტუდენტები სწავლობენ სხვადასხვა სახის წყაროების მოძიებას, შესწავლას, შენახვას და გამოყენებას სწავლისა და კვლევის პროცესში. პროგრამები ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა სახის პროექტში, სტუდენტურ წრეებში, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო აქტივობებში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

აღწერა - კლასტერის თვიშეფასების დოკუმენტის მიხედვით ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ცალკეულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში (საქართველოს არქეოლოგია, საქართველოს ეთნოლოგია, არქეოლოგიის შესავალი, ნუმიზმატიკა, სამუზეუმო-საარქივო საქმე) გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი, რაც ძირითადად ითვალისწინებს სტუდენტების ვიზიტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე და ეთნოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ადგილებზე. პრაქტიკული სამეცნიერო უნარის განვითარებას ხელს უწყობს ასევე ისეთი სავალდებულო კომპონენტი, როგორიცაა საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი), რომელზეც მუშაობისას სტუდენტი მოიძიებს სათანადო მასალებს (ბიბლიოგრაფია), ახდენს მათ დამუშავებას, შესწავლას და წერს ნაშრომს სამეცნიერო აპარატის დაცვით. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, საჯარო ლექციებში, დისკუსიებში და სხვა აქტივობებში.

ანალიზი - საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი შეესაბამება სწავლების საფეხურს. პრაქტიკასა და სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ ისინი ხშირად მონაწილეობდნენ რეგიონის სხვადასხვა ძეგლებზე წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებში და ასევე დადიოდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებზე სამეცნიერო-შემეცნებით ექსპედიციებში. პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები მეტწილად ხელს უწყობს პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის დასაწერად საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას და დონის შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

აღწერა - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით. პროგრამაში წარმოდგენილ ცალკეულ სავალდებული და არჩევით სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი. ასევე პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას მათი კვლევით პროექტებში ჩართვის გზით. მაგალითად, სასწავლო კურსი „საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური ასპექტები“ ითვალისწინებს პრაქტიკულ ლექციას არქეოლოგიურ ბაზასა და სამუზეუმო საცავში - კოლექციების კამერალური სამუშაოების მომზადება, საკვლევი ძეგლის იდენტიფიცირებისა და პრაქტიკული სამუშაოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა ეტაპის გაცნობა-შესწავლა. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს სიძველეთმცოდნეობის მიმართლებით მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას, საველე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებას, არქეოლოგიური გათხრების პროცესის მართვას,

საველე სამუშაოების მართვისას არტეფაქტებზე საჭირო ინფორმაციის შეგროვება და აღნუსხვა, სამუზეუმო კოლექციათა მართვა და ფუნქციონირება, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუზეუმის დაცვის ქვეშ მყოფ ზონებში შემავალი ტაძრების შესწავლა, მონაწილეობა რესტავრაცია-კონსერვაციაში, ეკლესიებში დაცული ქრისტიანული ხანის ხატებისა და ჯვრების, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ-ნუმიზმატიკური მასალის აღნუსხვა, შესწავლა, რეგისტრაცია. სამეცნიერო კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს სასწალვო კურსი „კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში". რომელიც სტუდენტს აძლევს ცოდნას სამეცნიერო ნაშრომის შექმნის პრინციპების, ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის, საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბების, ბიბლიოგრაფიის მოპოვების და გამოყენების, პლაგიატის შესახებ. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს სამაგისტრო ნაშრომის სახით, 20 კრედიტის მოცულობით.

ანალიზი - სამაგისტრო პროგრამა სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას ძირითადად თეორიული სალექციო კურსების საშუალებით შეძლებს. მაგალითად, სასწავლო კურსი „საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური ასპექტები" ითვალისწინებს პრაქტიკულ ლექციას, მაგრამ არ ჩანს თუ როგორ, როდის და რომელ მუზეუმში ან რომელ არქეოლოგიურ ბაზაზე განახორციელებს მას ავტორი. დასახელებული სალექციო კურსის არც ერთი თემა არ ითვალისწინებს ისეთი პრაქტიკული საკითხების გაცნობას, როგორიცაა: კოლექციების კამერალური სამუშაოების მომზადება, საკვლევი ძეგლის იდენტიფიცირებისა და პრაქტიკული სამუშაოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა ეტაპის გაცნობა-შესწავლა.

რაც შეეხება პრაქტიკას, სილაბუსით განსაზღვრული მიზნები და შედეგები აბსოლუტურად არარეალისტური და მიუღწევადია. შეუძლებელია, სტუდენტმა, რომელსაც არქეოლოგიური კვლევის მეთოდები არ შეუსწავლია საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე, მხოლოდ პრაქტიკის განხორციელების პერიოდში შესძლოს ისეთი ცოდნის მიღება და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება, რომლებიც დასახელებულია სილაბუსის შინაარსში. ფაქტიურად ეს არის არა პრაქტიკის, არამედ არის არქეოლოგიური კვლევის მეთოდების სილაბუსი, რომლის დონე უფრო შეესაბამება სადოქტორო პროგრამას. შეუძლებელია, რომ სიძველეთმცოდნეობის პროგრამის კურსდამთავრებულს, რომელსაც არ აქვს სათანადო ცოდნა და უნარები, განახორციელოს ისეთი სამუშაოები, როგორიცაა: საველე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება, არქეოლოგიური გათხრების პროცესის მართვა, საველე სამუშაოების მართვისას არტეფაქტებზე საჭირო ინფორმაციის შეგროვება და აღნუსხვა, სამუზეუმო კოლექციათა მართვა და ფუნქციონირება, მონაწილეობა რესტავრაცია-კონსერვაციაში. ყოველივე ამისათვის სპეციალური განათლება და შესაბამისი პრაქტიკული უნარებია საჭირო. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, თეორიული ან პრაქტიკული კურსები მსგავსი ცოდნის და უნარების დაუფლებას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება ქრისტიანული ტაძრების, ხატებისა და ჯვრების, ან ნუმიზმატიკური მასალის შესწავლას, ქართული ხელოვნების ისტორიის და ნუმიზმატიკის სალექციო კურსების შესწავლისა და სათანადო პრაქტიკის გარეშე, ესეც არარეალურია. იგივე შეიძლება ითქვას არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ-ნუმიზმატიკური მასალის შესწავლაზე, რადგანაც პროგრამაში

ჩართული არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის სალექციო კურსები მხოლოდ თეორიულ საგნებს წარმოადგენს და არ ითვალისწინებს შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის გავლას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერც „პრაქტიკის“ და ვერც „საქართველოს არქეოლოგიის კონცეპტუალური ასპექტები“-ს სასწავლო კურსი ვერ უზრუნველყოფს არქეოლოგიის დარგში საჭირო პრაქტიკული უნარების განვითარებას. ზოგადად, პრაქტიკის სილაბუსის დასახელება, მიზანი, უნარები და შინაარსი აცდენილია რეალობას. მით უმეტეს, რომ ასევე არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რომელ ძეგლებზე განხორციელდება მსგავსი მასშტაბის სამუშაოები და თანაც ერთბაშად. უფრო რელევანტური იქნებოდა, რომ სიძველეთმცოდნეობის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალ-ცალკე გაკეთებულიყო მაგისტრატურის დონის შესაბამისი სილაბუსები არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, სამუზეუმო და სხვა სახის პრაქტიკისათვის.

რაც შეეხება კიდევ ერთი სასწავლო კურსს, „კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში“, მასში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია კლასიკური ფილოლოგიის კვლევით უნარებზე და სიძველეთმცოდნეობის სფეროს ყველა მიმართულებით ვერ იძლევა საჭირო უნარების დაუფლების შესაძლებლობას, თუმცა ყურადღებას უთმობს წერითი უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერის თვითშეფასების კითხვარი;
- სილაბუსები;
- პლაგიატის წესი;
- ურთოერთთანამშრომლობის მემორანდუმები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არ აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- პრაქტიკული და სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებისათვის შესაბამისობაში მოყვანილი იქნეს პრაქტიკის სილაბუსი სწავლების საფეხურთან;
- სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები სიძველეთმცოდნეობაში“, შინაარსი და შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს სიძველეთმცოდნეობის სფეროს სპეციფიკასთან, ან შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „კვლევის მეთოდები კლასიკურ ფილოლოგიაში“.
- მომზადდეს თეორიული კურსები, რომლებიც ითვალისწინებს დარგის მეთოდებს და მეთოდოლოგიას.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია აისახოს თუ პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციები რა სახით უწყობენ ხელს პრაქტიკული უნარების განვითარებას;
- პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებისათვის მეტი პრაქტიკული კომპონენტები იქნეს შეტანილი სასწავლო კურსების სილაბუსებში ჩაშენებული კომპონენტის სახით.

შეფასება

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	☒	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით მასში შემავალ პროგრამებში გამოყენებულია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში აპრობირებული სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს შესაბამისი საფეხურის და კურსის სპეციფიკას, მაქსიმალურად ორიენტირებულია სტუდენტებზე და სწავლის შედეგზე. ისინი უზრუნველყოფენ დასახული შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის და უნარების მიღწევას. კლასტერში ჩართული პროგრამების განხორციელებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი. სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი.

ანალიზი - კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები აქტივობები განსაზღვრულია სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეესაბამება სწავლების საფეხურს და სწავლის შედეგებს. სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სათანადო ავტონომიურობით და პასუხისმგებლობით. სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სწავლის პროცესში სტუდენტის მონაწილეობას და მიმართულია სტუდენტის მიერ დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისაკენ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

აღწერა - ისტორიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის მიხედვით სწავლების შედეგების მისაღწევად გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის განმახორციელებელი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თავად განსაზღვრავს შესაბამისი სასწავლო კურსის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ მეთოდებს და აქტივობებს. ისტორიის პროგრამის სასწავლო კურსებში გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, გონებრივი იერიში, წიგნზე მუშაობა და დემონსტრირება, დისკუსია/დებატები, კითხვა-პასუხი; პრეზენტაცია/რეფერატი; ჯგუფური მუშაობა და სხვა.

ანალიზი - პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები განსაზღვრულია სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და ისტორიის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სათანადო ავტონომიურობით და პასუხისმგებლობით, პერსონალსა და სტუდენტებს, ასევე სტუდენტებს შორის ინტერაქციას. სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სწავლის პროცესში სტუდენტის მონაწილეობას სათანადოთ და მიმართულია სტუდენტის მიერ დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისაკენ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

აღწერა - სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის მიხედვით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და სხვ., სწავლა-სწავლების ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა კონკრეტული მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში). სწავლის მეთოდები წარმოებს (ძველი ისტორიული მეცნიერების, ფილოლოგიის(ენა და ლიტერატურა) ფილოსოფიის, რელიგიის სწავლებით.

ანალიზი - სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში მითითებული სწავლების მეთოდებში დასახელებული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სემინარი წარმოადგენს სწავლების ფორმატს და არა მეთოდს. ასევე გაუგებარია თუ რას გულისხმობს შემდეგი წინადადება „სწავლის მეთოდები წარმოებს (ძველი ისტორიული მეცნიერების, ფილოლოგიის (ენა და ლიტერატურა), ფილოსოფიის, რელიგიის სწავლებით“. ინტერვიურების პროცესში ამ საკითხებთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე რელევანტური პასუხები გაცემული არ ყოფილა. აკადემურმა პერსონალმა განაცხადა, რომ მათ საკუთარი სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის მეთოდების გაწერისას იხელმძღვანელეს კურუკულუმში მითითებული სწავლის მეთოდების ჩამონათვალით. ხოლო ზემოთ მოყვანილ წინადადებასთან დაკავშირებით მოგვცეს განმარტება, რომ მათ ის გაიაზრეს, როგორც სწავლის მეთოდების შერჩევა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებების სპეციფიკის გათვალისწინებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა აკადემიურ პერსონალთან პროგრამის კურიკულუმსა და ყველა სასწავლო კურსების სილაბუსში გამიჯნონ სწავლების ფორმატი სწავლის მეთოდებისაგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;
- სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა;
- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- გაიმიჯნოს სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში ერთმანეთისაგან სწავლა-სწავლების მეთოდები და სწავლების ფორმატი.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სტუდენტის შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. თითოეული სასწავლო კურსის კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სასწავლო შედეგებს. კლასტერში შემავალი პროგრამები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს გასაჩივრების მოქნილი და გამჭვირვალე სისტემა (სტრუქტურული ერთეული „სტუდენტთა მომსახურების ცენტრი“, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის პროგრამას LMS - სს დაემატა „ფანჯარა“, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უკუკავშირის მიწოდებით მათ მიერ მიღწეული მიზნების, ნაკლოვანებებისა და გაუჯობესების გზებზე ინფორმირებას). უნივერსიტეტში შემუშავებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის გამოვლენას და ანალიზს.

თვითშეფასების კითხვარის მიხედვით აკადემიური პერსონალისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების სისტემა და მეთოდები. სტუდენტები ჯერ კიდევ სასწავლო კურსის დაწყებამდე

ეცნობიან შეფასების ფორმებს, კომპონენტებს და მეთოდებს. კურიკულუმის მიხედვით კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს შეფასების შედეგებით, რაც გაწერილია პროგრამების კურუკულუმსა და სილაბუსებში.

ანალიზი - კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში, მაგისტრატურის დებულებაში და პლაგიატის წესში მოცემული სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაში სტუდენტთა შეფასება წინასწარ ცნობილია სტუდენტებისათვის, არის მრავალკომპონენტიანი, გამჭვირვალე, ობიექტური, სანდო და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. ცალკეული სასწავლო კურსის/საგნის შეფასების კომპონენტები და მეთოდები შედგენილია მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ორივე საფეხურის პროგრამის სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ნაშრომის დაცვისა და შეფასების გამჭირვალე და სამართლიან პროცედურებს. სტუდენტთა შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმებს. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრებას, რომლის პროცესი არის გამჭვირვალე და ობიექტური. უსდ ახორციელებს სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის და იყენებს მას სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- კლასტერის თვითშეფასების კითხვარი;
- მაგისტრატურის დებულება;
- პლაგიატის წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგილირებელი წესი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	☒	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კონსულტაციები სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმების თაობაზე,

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა "lms.zssu.ge", რომლის საშუალებითაც წარმოებს სტუდენტთა რეგისტრაცია სასწავლო კურსებზე, აკადემიური მასალისა და სილაბუსების განთავსება და მათთვის ელექტრონულად მიწოდება, მათ მიერ მიღებული შეფასებებისა და დაგროვილი კრედიტების შემოწმება. აღნიშული პლატფორმა გამოიყენება ასევე, როგორც საკომუნიკაციო საშუალება სტუდენტებისთვის მიმდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებზე სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, წლის განმავლობაში კონტაქტი ჰქონდეთ სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის უკეთესი შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის თაობაზე. გარდა ამისა, საკონსულტაციო პროცესში, მიზანშეწონილია, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალის ჩართვა. როგორც სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, ისინი ამ მხრივ არ არიან შეზღუდულნი და ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ კონსულტაცია ნებისმიერ დროს, არა წინასწარ დაგეგმილ საათებშიც. ამასთან, მათთვის კონკრეტულად ცნობილია ლექტორების საკონსულტაციო დღეების შესახებ. თითოეული საგნის სილაბუსში მითითებულია, რომ საკონსულტაციო დღე განისაზღვრება ფაკულტეტზე არსებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის შესაბამისად.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან კიდევ ერთი ეფექტური საკომუნიკაციო საშუალებაა ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტში ჩარიცხვის, სწავლისა და იქ არსებული სასწავლო გარემოს შესახებ, აგრეთვე მარეგულირებელი დოკუმენტები და ინსტრუქციები, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება სხვადასხვა აქტივობის განხორციელებაში, სწავლის დამოუკიდებლად ორგანიზებასა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში.

ფაკულტეტზე ინტენსიურად იმართება სხვადასხვა კონფერენციები, სადაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბმულები სამეცნიერო საქმიანობაში. საკონფერენციო თემაზე მუშაობისას კი კვალიფიციური კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა აქვთ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან.

უნივერსიტეტი ყურადღებით ეკიდება სტუდენტების პოზიციებს, ინიციატივებს და ითვალისწინებს მათ პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. სასწავლო კურსებთან და ლექტორებთან მიმართებაში პერიოდულად ტარდება კვლევები, რა დროსაც კითხვარების შევსება ანონიმურია და ნებაყოფლობითი.

უნივერსიტეტი სხვადასხვა მეთოდით უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. აქტიურად ხორციელდება კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტისა და სტუდენტური პორტალის მეშვეობით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერის განვითარების სამსახური, რომელიც სტუდენტების ინფორმირებას ახდენს დასაქმების შესაძლო პერსპექტივების შესახებ, თუმცა როგორც ინტერვიუს დროის გაირკვა, სტუდენტებისთვის არ არის ცნობილი დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, ამასთან უმეტესობას არ უსარგებლია ცენტრის შეთავაზებებით, უფრო მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა არც იცოდა ცენტრის ფუნქციონირების შესახებ.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე, თუმცა, სასურველია, საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს პრაქტიკულ კომპონენტზე და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უცხო ენათა ცენტრი, რაც ხელს უწყობს სტუდენტების შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობას.

ფაკულტეტი აქტიურად ცდილობს შეძლებისდაგვარად შეიმუშაოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, სადაც მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია სტუდენტთა სასწავლო მობილობა, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება და მათთან ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება. მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება: სტუდენტების გაცვლა, საერთო სასწავლო და კვლევითი აქტივობები.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და ამ მიზნით, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, მათ შორის, მუზეუმებთან, სკოლებთან და ა.შ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები -

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;
- მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - **www.zssu.gezssu2/**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, გაიზარდოს ინფორმირებულობა სტუდენტებში უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ;
- სასურველია, კარიერის განვითარების ცენტრის საქმიანობის ცნობადობის გაზრდა;
- სასურველია, გაიზარდოს პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების რაოდენობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია-საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრა,ა	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, ხელმძღვანელთა მხრიდან ჰქონდეთ ხელმძღვანელის მხარდაჭერა სამეცნიერო კვლევებში ჩართულობისა და სამაგისტრო ნაშრომის სათანადო დონეზე შესრულებისათვის. სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ

დატვირთვას, რომელიც საჭიროა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მაგისტრანტის ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, ამასთან მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტი და განსაზღვრულია ციტირების სტანდარტი.

მაგისტრატურის დებულების მიხედვით მაგისტრანტის ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი, ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორთა შემადგენლობიდან) წარმომადგენელი ან დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

როგორც მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების დროს გაირკვა, სამეცნიერო ხელმძღვანელს მჭიდრო კომუნიკაცია აქვს სტუდენტებთან ნაშრომზე მუშაობის პროცესში. მათ აქვთ შესაძლებლობა, ნაშრომის მომზადებისას თითოეული ეტაპი განიხილონ თემის ხელმძღვანელთან. თავდაპირველად თანხმდება თემის სათაური, შემდეგ კი - სტრუქტურა, შინაარსი, დგება სამუშაო ვერსია და ა.შ.

უსდ-ს მიერ შემუშავებულ„შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება-ში“, პროგრამის კურუკულუმში და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არ არის წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. ასევე დანართი 1, რომელიც არასრულყოფილადაა შევსებული, ვერ გვაწვდის შესაბამის ინფორმაციას. მასში, ისევე როგორც სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად მითითებული 3 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლებელი ხდება დავადგინოთ, თუ რა რაოდენობის მაგისტრის მიღება იგეგმება სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე და როგორია მათი თანაფარდობა მაგისტრანტების ხელმძღვანელებთან. შესაბამისად, ასევე ვერ მოხერხდა ქვემოთმოყვანილი ცხრილის სრულყოფილად შევსება და მაგისტრებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობის ანალიზი.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)**[9]	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**3**
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში:
- შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები;
- პროგრამის ხელმზღვანელის, ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

[9] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

- შემუშავებული იქნას მაგისტრებისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და მექანიზმი.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სიმველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	☒	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიმველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრა,მა)	☐	☐	☒	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე

დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ისტორიის საბაკალავრო და სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამებს ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, გამოცდილი და კონკურსის გზით შერჩეული აკადემიური პერსონალი, რომელიც ფლობს შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღებად საჭირო კომპეტენციებს. ხელმძღვანელებსა და განმახორციელებელ პერსონალს აქვთ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღებად საჭირო კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი CV-ები. სულ კლასტერის განხორციელებაში ჩართულია 10 აკადემიური (3 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი) და 14 მოწვეული პერსონალი.

ანალიზი - სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის CV-ების მიმოხილვამ და ზოგიერთ მათგანთან გასაუბრებამ წარმოადგინა აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის მკაფიო სურათი. მათი რაოდენობა და დატვირთვა მეტნაკლებად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრადობას. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები არიან გამოცდილი სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ საჭირო კომპეტენციები როგორც სასწავლო პროცესში, ასევე პროგრამების მართვაში. ისინი პირადად არიან ჩართულნი პროგრამების განხორციელებაში.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სამაგისტრო საფეხურის - სიძველეთმცოდენობის ადამიანურ რესურსებში ნათლად გამოიკვეთა შეუსაბამობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილის, მათ შორის ხელმძღვანელების გამოცდილებისა (გამოქვეყნებული ნაშრომების) პროგრამის მიზნებთან/შედეგებთან მიმართებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

აღწერა - ისტორიის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთაც გააჩნიათ დარგის სფეროში მოღვაწეობის წარმატებული და ასევე მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება, მაღალი კვალიფიკაცია და შესაბამისი კომპეტენცია. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებაში. კანონმდებლობის და უსდ-ს შიდა რეგულაციების საფუძველზე პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს

პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. მათი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამოქვეყნებული მონოგრაფიებითა და პუბლიკაციებით, შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან. პროგრამის განხორციელებას ემსახურება საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განვითარებას.

აღწერა - ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთა და მონაწილე პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამას ახორციელებს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მასწავლებლები და მოწვეული სპეციალისტები, რომელთა უმეტესობას აქვს შესაბამისი პროფესიული და სწავლების გამოცდილება. პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის პუბლიკაციებითა და კონფერენციებში მონაწილეობით დამოწმებული კვლევებით. ამრიგად, პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღებად აუცილებელი კომპეტენცია. სტუდენტების საჭიროებებს უზრუნველყოფს და ემსახურება დამხმარე პერსონალი და ადმინისტრაცია. პროგრამის ხელმღვანელის ფუნქციები განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი დებულებით. პროგრამის ხელმძღვანელები და მონაწილე პირები მონაწილეობენ პროგრამის შეფასებაში, ახორციელებენ ცვლილებების შეტანას და სხვადასხვა აქტივობებს.

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)[10]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[11]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[12]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**18**	**9**	**6**	**6**
- პროფესორი	2	1	1	2
- ასოცირებული პროფესორი	6	3	5	4
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	10	6	3	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

პროგრამა 2 - სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

აღწერა - სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება კურიკულუმის მიხედვით უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. პროგრამას ჰყავს სამი ხელმძღვანელი. თვიშეფასების ანგარიშის მიხედვით მათ გააჩნიათ დარგში აქტუალური, მნიშნელოვანი სამეცნიერო პროდუქცია და მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. პროგრამაში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

ანალიზი - სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთა და მონაწილე პირთა კვალიფიკაცია ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ამოცანებს. პროგრამას ჰყავს სამი ხელმძღვანელი იმ პირობებში, როდესაც პროგრამის სტრუქტურა ერთგვაროვანია და ის არ იყოფა სხვადასხვა კონცენტრაციებად ან მოდულებად, რაც შექმნიდა სამი ხელმძღვანელის არსებობის აუცილებლობას. სამიდან ერთი ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორია და მისი ძირითადი სფეროა გვიანი შუა საუკუნეები და ახალი და უახლესი ისტორია. შესაბამისად, მას არ აქვს სიძველეთმცოდნეობის სფეროში მუშაობის გამოცდილება. მეორე ხელმძღვანელი ფილოსოფიის დოქტორია და მის სამეცნიერო ნაშრომებშიც არ აისახება სიძველეთმცოდნეობის სფეროში

[10] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[11] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[12] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მუშაობის გამოცდილება. მესამე ხელმძღვანელი წარმოდგენილი CV-ის მიხედვით ისტორიის დოქტორია, თუმცა სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში და განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალში მითითებულია როგორც ფილოსოფიის დოქტორი. მისი ბოლო წლების სამეცნიერო გამოცდილების სფეროც ძირითადად ფილოსოფიაა და ნაშრომებიც სწორედ ამ დარგში აქვს გამოქვეყნებული. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს არ აქვთ სიძველეთმცოდნეობის სფეროში მუშაობის გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს გამოირკვა, რომ ერთმა მათგანმა არ იცოდა მეორეს პროგრამის ხელმძღვანელობის საკითხი და მხოლოდ პანელზე შეიტყო ამის შესახებ. ზოგადად პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევისას დაირღვა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დებულების (აკადემიური საბჭოს დადგენილება #01. 11.01.2019 II მუხლის I პუნქტის მოთხოვნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების გამოცდილება. პროგრამის ორი ხელმძღვანელიდან, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, არც ერთს არ აქვს სიძველეთმცოდნეობის სფეროში მუშაობის გამოცდილება, არც შესაბამისი აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია და სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების გამოცდილება. რაც შეეხება მესამე ხელმძღვანელს, მას როგორც მოწვეულ პერსონალს აქვს მხოლოდ თანახელმძღვანელობის უფლება (ამავე დებულების II მუხლი, პუნქტი III). მაგრამ როგორც სიძველეთმცოდნეობის პროგრამის კურიკულუმის, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალის მიხედვით მოწვეული პერსონალი არის პროგრამის ხელმძღვანელი და არა თანახელმძღვანელი, რაც ასევე დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს. ეს კი არის ზემოთხსენებული დებულების II მუხლის III პუნქტის დარღვევა.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალიდან სიძველეთამცოდენობის სფეროში პროფესიული მოღვაწეობის გამოცდილება ძირითადად გააჩნია მოწვეულ სპეციალისტთა ნაწილს. აკადემიური პერსონალის CV-ში ნათლად იკვეთება ბოლო 5 წლის განმავლობაში პუბლიკაციების და კონფერენციაში მონაწილეობის სიმცირე სიძველეთმცოდნეობის სფეროს მიხედვით. რაც შეეხება ადმინისტრაციულ პერსონალს, მათი კვალიფიკაცია არის საკმარისი და შეესაბამება მათ მიერ შესრულებულ ფუნქციებს. პერსონალის კვალიფიკაცია ნაკლებად უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების რეალიზებას.

პროგრამა 2 სიძველეთამცოდნეობის სამაგისტრო საგანანათლებლო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული/ პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[13]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[14]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**13**	**5**	**5**	**5**
- პროფესორი	2	1	1	2
- ასოცირებული პროფესორი	5	0	0	3
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	6	4	4	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პაკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- უსდ-ს დებულება სამაგისტრო/საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმღვანელის შესახებ;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

[13] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების გაინმახორციელებელი პერსონალი

[14] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს

რჩევ(ებ)ი:

- ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერული განვითარების მიზნით პროგრამის განხოციელებაში ჩაერთოს ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების მქონე პირები და ხელი შეეწყოს მათ ინტეგრაციას პროგრამებსა და კვლევით საქმიანობაში.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- უზრუნველყოფილი იქნას სამაგისტრო პროგრამა კვალიფიციური ხელმძღვანელებით.

რჩევ(ებ)ი:

- გაიზარდოს სიძველეთმცოდნეობის სფეროში გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამის განვითარების და მისი მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა)	☐	☐	☒	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების“ მე-14 მუხლის მიხედვით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან მოწვეული სპეციალისტი (დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე), რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტაციით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტების კონსულტაციებს სამეცნიერო-კვლევით თემასთან დაკავშირებით, ზოგადი სამეცნიერო რჩევებით, ბიბლიოგრაფიული მონაცემების მოძიებაში დახმარებით, სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის მომზადებასა და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებაში, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში, აგრეთვე სამეცნიერო სტატიების რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნების შესახებ რჩევებით და ხელშეწყობით.

ანალიზი - აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ უსდ-ს შემუშავებული აქვს „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება“, რომელშიც არ არის წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად წარმართვას. ასევე არ ჩანს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ხელძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და განვითარებას. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ამას განსაზღვრავს მაგისტრატურის დებულების მე-15 და არა მე-14 მუხლი, როგორც ეს არის მითითებული თვითშეფასების ანგარიშში.

პროგრამა 1 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა) 1			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[15]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**3**	**0**	**2**
- პროფესორი	1	0	1
- ასოცირებული პროფესორი	1	0	1
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	1	0	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

აკრედიტაციისათვის წარმოდგენილ მასალებში არ არის ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელების შესახებ. არც თვითშეფასების ანგარიშში გვხდება შესაბამისი მონაცემები. ერთადერთი დოკუმენტი, რომელშიც შეიძლება იყოს მითითება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა შესახებ, არის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელშიც განმახორციელებლებლად დასახელებულია სამი ავტორი, რომელთაგანაც 2 არის უსდ-ს აკადემიური, ხოლო 1 მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია, რომ არც ერთ მათგანს არ აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო კვლევების გამოცდილება სიძველეთმცოდნეობის სფეროში. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, რადგანაც პროგრამა ახალია, შესაბამისად, ამ მიმართულების სამაგისტრო ნაშრომები ვერ იქნებოდა წარმოდგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება“;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

[15] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- უზრუნველყოფილი იქნეს სამაგისტრო პროგრამა სამაგისტრო ნაშრომების კვალიფიციური ხელმძღვანელებით.
- შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ხელძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და განვითარებას.

- **რჩევ(ებ)ი:**
- მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისო/ბაში ///მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სიძველეთმცოდნეობა-სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	☐	☒

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით უნივერსიტეტს გააჩნია პროფესორ მასწავლებელთა შეფასების სისტემა, რის საფუძველზეც ხდება სწავლების პროცესის მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება როგორც სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციებით და ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების საფუძველზე წარმატებული ლექტორების წახალისებას სამეცნიერო პუბლიკაციების დაფინანსების სახით. თუმცა გასაუბრების შედეგებით არ გამოიკვეთა, რომ არსებული რეგულაციები პრაქტიკაში აქტიურადაა დანერგილი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. პერსონალი მონაწილეობს კონფერენციებსა და სხვადასხვა სესიებში. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია ბიბლოთეკა, სადაც სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ადგილზე არ იძებნება. ასევე, უნივესიტეტს გააჩნია სხვადასხვა ელექტრონული ბაზები, კომპიუტერული კლასები და ა.შ. აკადემიური პერსონალის მცირე ნაწილი ჩართულია საერთაშორისო სხვადასხვა პროექტებში. პროგრამის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში.

ანალიზი - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პროფესიული განვითარებისათვის, როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ასევე აკადემიური უნარების განვითარების მიზნით პერიოდულად აწარმოებს პროგრამებში ჩართული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას და ახდენს მათი კმაყოფილების კვლევას. უსდ-ში პერიოდულად ტარდება პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები, შექმნილია სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შესაბამისი პირობები და ხელშეწყობილია მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ, განხორციელდა არსებული პერსონალის გადამზადება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. გარდა ამისა, ჩატარდა ტრენინგები და კონსულტაციები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელის გაცნობითაც ჩანს, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების, განვითარებისა და წახალისების მექანიზმები;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http:/www.zssu.ge/zssu2/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო კორპუსში განთავსებული კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, პერსონალის ოთახი, კომპიუტერული ცენტრები, საკონფერენციო დარბაზი, საგამოცდო ცენტრი, სპორტული დარბაზი, სამედიცინო

პუნქტი და კვების ობიექტი, რომლებსაც აქვთ დენის უწყვეტი წყარო და ცენტრალური გათბობის სისტემა. პროგრამების აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური პერსონალური კომპიუტერებითა და სხვა ტექნიკური აღჭურვილობით, ხარისხიანი ინტერნეტით, სამუშაო სივრცით. სასწავლო უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან (Scopus, Mendeley).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

აღწერა - ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკაში ნაწილობრივ განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის გაციფრულება, რაც ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის ხარისხს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. არსებული საბიბლიოთეკო რესურსი და ელექტრონული ბაზები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მათი მოხმარების წესების შესახებ. ბიბლიოთეკის სივრცეში სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია მუშაობა.

ანალიზი - საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ციფრული რესურსებით, რაც რაოდენობისა და ხარისხის თვალსაზრისით ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უსდ-ს გააჩნია პროგრამების სტუდენტებისა და პერსონალისათვის თავისუფლად ხელმისაწვდომი კეთილმოწყობილი აუდიტორიები და კაბინეტები. ბიბლიოთეკაში დაცულია სასწავლო კურსის/საგნის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, უახლესი სამეცნიერო-პერიოდული გამოცემები, ციფრული რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული საერთაშორისო ბაზები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სტანდარტის მე-5 ქვესტანდარტში აღინიშნა გარკვეული ხარვეზები სასწავლო კურსების თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეში. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამის 14 სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა 2010 წლამდეა გამოცემული. ასევე დანარჩენი სასწავლო კურსების სილაბუსებში ახალი სავალდებულო ლიტერატურის გარდა ასევე მითითებულია მოძველებული სახელმძღვანელოების, რაც ასევე საჭიროებს ჩანაცვლებას. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი მუშაობა გასწიოს უსდ-ს ბიბლიოთეკამ პროგრამის ხელმღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ერთად ახალი სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო მასალის მოძიებისა და საბიბლიოთეკო ბაზის, (მათ შორის ციფრული) განახლების მიზნით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

აღწერა - პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტში სარგებლობენ შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურით. სასწავლო აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, მათ უმეტესობას აქვს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა, მულტიმედიური აღჭურვილობა და Wi-Fi ინტერნეტი.

ანალიზი - სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ციფრული რესურსებით, რაც რაოდენობისა და ხარისხის თვალსაზრისით ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უსდ-ს გააჩნია პროგრამების სტუდენტებისა და პერსონალისათვის თავისუფლად ხელმისაწვდომი კეთილმოწყობილი აუდიტორიები და კაბინეტები. თუმცა წიგნადი ფონდი სამაგისტრო პროგრამისათვის საჭიროებს განახლებას, განსაკუთრებით პროგრამის ახალი მიზნების, შედეგების და სტრუქტურის ფორმირების შემდეგ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სტანდარტის მე-5 ქვესტანდარტში აღინიშნა გარკვეული ხარვეზები სასწავლო კურსების თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეში. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამის 4 სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა 2010 წლამდეა გამოცემული. ასევე დანარჩენი სასწავლო კურსების სილაბუსებში ახალი სავალდებულო ლიტერატურის გარდა ასევე მითითებულია მოძველებული სახელმძღვანელოების, რაც ასევე საჭიროებს ჩანაცვლებას. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი მუშაობა გასწიოს უსდ-ს ბიბლიოთეკამ პროგრამის ხელმღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ერთად ახალი სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო მასალის მოძიებისა და საბიბლიოთეკო ბაზის, (მათ შორის ციფრული) განახლების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუების შედეგები;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ აუდიტორიები;
- ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა;
- ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო სერვისები (ელექტრონული).

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- განახლდეს საბაკალავრო პროგრამის საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- განახლდეს სამაგისტრო პროგრამის საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის მიღწევადობას და არის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ინსტრუმენტი. უნივერსიტეტში მოქმედებს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული სამწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისათვის საჭირო ფინანსები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამების საჭიროებებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

2019 წლიდან ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ბიუჯეტის მიხედვით პროგრამის შემოსავალი აღემატება ხარჯებს. შესაბამისად, წარმოდგენილი ბიუჯეტი ადასტურებს ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. თვითშეფასების დოკუმენტით ირკვევა, რომ ბიუჯეტის ნაწილი იხარჯება პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის შრომით ანაზღაურებაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სიძველეთმცოდნეობის - სამაგისტრო პროგრამა)

სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული სამწლიანი სამოქმედო გეგმის ფონდიდან მოზიდული ფინანსური რესურსებით. სიძველეთმცოდენობის სამაგისტრო პროგრამის მიმართებაში უნივერსიტეტში არსებული სტრატეგიული განვითარების გეგმით დაგეგმილი აქტივობები ბუნდოვანია. სასურველია სხვადასხვა აქტივობებისთვის ფინანსური მხარდაჭერა წარმოდგენილი იყოს დაწვრილებით, რათა უფრო ნათელი წარმოდგენა შეიქმნას თუ რა მიმართულებით დაიხარჯება აღნიშნული ფინანსური რესურსები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- დანართი 11. ფაკულტეტის ბიუჯეტი;

- ინტერვიუსების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- დაკონკრეტდეს და დაწვრილებით იქნეს წარმოდგენილი ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში სხვადასხვა აქტივობებისთვის გასაწევი ფინანსური მხარდაჭერისათვის განკუთვნილი ხარჯები.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- დაკონკრეტდეს და დაწვრილებით იქნეს წარმოდგენილი სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში სხვადასხვა აქტივობებისთვის გასაწევი ფინანსური მხარდაჭერისათვის განკუთვნილი ხარჯები.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ხარჯები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა	☐	☐	☐	☒

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს ისეთი პროგრამების განვითარებას, რომელიც რეგიონული

საჭიროებებიდან გამომდინარეობს და სოციალურ თუ პოლიტიკურ კონტექსტში, ასევე მესამე მისიასთან თავსებადობის ნაწილში დიდი მნიშვნელობა აქვს.
წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში არსებობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეუფძნება PDCA ციკლის პრინციპებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სათანადო შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის საფუძველზე ახორციელებს შიდა შეფასების პროცესს, რაც მოიცავს საჭიროებების გამოკვეთას, პროცესის შესასწავლად სათანადო ინსტრუმენტების შერჩევას, შეფასებას, მონაცემების ანალიზსა და სათანადო რეაგირებას.
„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების" დოკუმენტში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების პრინციპები. ასევე თვითშეფასების ჯგუფის ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და მუშობის პრინციპები. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს პროგრამაში ცვლილებების შეტანის, შეფასება/მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს.
წარმოდგენილ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში მათი ჩართულობა. დასახელდა კონკრეტული ცვლილებები, რაც განხორციელდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამუშავების დროს, კერძოდ, სავალდებულოდ დაემატა ინგლისური ენა მეტი ინტერნეციონალიზაციისათვის, არჩევით ბლოკში ახალი სასწავლო კურსების შემოტანა, გაიყო კონკრეტული სასწავლო კურსები (წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია), საქართველოს ეთნოლოგია გახდა სავალდებულო კურსი და ა.შ. აღინიშნა, რომ თვითშეფასების ჯგუფის ქუდქვეშ მუშაობდნენ მიკრო ჯგუფები სხვადასხვა მიმართულებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნა, რომ სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები, კერძოდ, ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე მოთხოვნის შემცირებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ინოვაციური პროგრამის შექმნა, რასაც სასწავლო უნივერსიტეტი შეეცადა წარმოდგენილ კლასტერში სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით. საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით აღინიშნა, რომ სტუდენტების მოთხოვნას წარმოადგენდა არჩევითი კურსების მრავალფეროვნება და პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსების რაოდენობის გაზრდა, რაც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის დამუშავების დროს. თუმცა ინტერვიუების დროს სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით გამოიკვეთა ხელმძღვანელებს, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის ნაკლები კოორდინაცია, რაც აისახა პროგრამის მიზნებსა და შინაარსზე.

სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები ადასტურებენ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცესში მონაწილეობას, რაც გულისხმობს სხვადასხვა გამოკითხვებში ჩართულობას.
საერთო ჯამში, შეიძლება აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში არსებობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის სრულყოფის მიზნით, თუმცა გამოიკვეთა გარკვეული საჭიროებები ახალი პროგრამის შემუშავების დროს პროგრამის ხელმძღვანელებისა და ჩართული პერსონალის კოორდინირების თვალსაზრისით. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ ინფორმაცია ერთმანეთის სტატუსების შესახებ, ასევე ჩართულ პერსონალს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სსიპ - ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამოკითხვის ჩატარების წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

- **რეკომენდაცი(ებ)ი:** აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს.

რჩევ(ებ)ი:

- აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევა არ აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში აუცილებელია პროგრამის ხელმძღვანელისა და პერსონალის მაღალი ჩართულობა. აღნიშნული გადამწყვეტია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სტრუქტურისა და შინაარსის თავსებადობაში.

რჩევ(ებ)ი:

- აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევა არ აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი გარე შეფასების კომპონენტის ნაწილში განიხილავს როგორც დამსაქმებლების, ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სააკრედიტაციო ვიზიტების ფარგლებში განხორციელებულ შეფასებებს.

რაც შეეხება აღნიშნულ კლასტერში წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებს, გარე შეფასება ასევე განხორციელებულია ექსპერტის მიერ ორივე პროგრამაზე. წარმოდგენილი შეფასებები არის არა დარგის, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით და მოიცავს ტექნიკური ხარისიათის რჩევებსა და რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიმართულებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელების მიერ უფრო პრიორიტეტად მიჩენული იქნა გარე შეფასება განხორციელებულიყო ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, შეფასებულიყო სწავლის მიზნები, შედეგები, პროგრამის სტრუქტურა. პროგრამის განვითარებაში ჩართული მოწვეული სპეციალისტების, პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის გათვალისწინებით დარგის მიხედვით შეფასება არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული.
მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სავალდებულო მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დაწესებულებას ავალდებულებს გარე შეფასების განხორციელებას დარგის მიმართულებით, სასურველია მსგავსი პროგრამების შეფასების დროს ასევე გათვალისწინებული იყოს დარგობრივი ექსპერტის მოსაზრებები. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც დაწესებულებაში როგორც საკანონმდებლო და მარეგულირებელ, ასევე პრაქტიკულ დონეზე არსებობს ხარისხის შეფასების ქმედითი სისტემა, რომელიც სრულად ჩართულია პროგრამის შემუშავებისა და რევიზიის პროცესში. დარგის მიმართულებით შეფასება პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს მისცემს შესაძლებლობას დამოუკიდებელი შეფასების მოსმენისა, რაც დარგთან არსებული რიგი ხარვეზებისა და უზუსტობების თავიდან არიდების საშუალებას მისცემს მათ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე შეფასების დოკუმენტები;
- ინტერვიურება;
- კლასტერული თვითშეფასების დოკუმენტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს.

რჩევ(ებ)ი:

- აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევა არ აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია გარე შეფასება განხორციელდეს დარგის მიმართულებით. დარგის მიმართულებით შეფასება პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს მისცემს შესაძლებლობას დამოუკიდებელი შეფასების მოსმენისა, რაც დარგთან არსებული რიგი ხარვეზებისა და უზუსტობების თავიდან არიდების საშუალებას მისცემს მათ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში განსაზღვრულია პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცედურები. ინტერვიურების დროს დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს შიდა შეფასებას, რაც გულისხმობს სტუდენტთა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა გამოკითხვის, გარე შეფასების, დამსაქმებლების უკუკავშირის შედეგების ანალიზის წარდგენას აკადემიურ საბჭოზე. გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად აკადემიური საბჭო გასცემს რეკომენდაციებს ფაკულტეტისათვის. ამავე ჭრილში განიხილება აკადემიური პერსონალის თვითშეფასება და წელიწადში ერთხელ და წლიური ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხირდან ასევე აღინიშნა, რომ კლასტერული აკრედიტაციის პროცესში მოხდა აკადემიური პერსონალისა და ადამიანური რესურსების კვალიფიკაციების შეფასება - რამდენად შეესაბამებოდა პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს.

სტუდენტებთან გამოკითხვები ტარდება სემესტრში ერთჯერ და მიმდინარეობს ონლაინ. შევსების მაჩვენებლია 50%-ზე მეტია. პროცესში ასევე ჩართული არიან კურსდამთავრებულები, წარმოდგენილ კლასტერში სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით ჩატარდა მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთან ინტერვიუები.

აკადემიური პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პერსონალი მონაწილეობს შიდა შეფასების პროცესში. ისინი წარუდგენენ საკუთარ საჭიროებებს ფაკულტეტს, რომელზედაც უნივერსიტეტის მხრიდან ხდება რეაგირება. იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტი ვერ ახერხებს პერსონალის რაიმე საჭიროებების დაკმაყოფილებას, იწვევენ სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტებს.

აკადემიური პერსონალის კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ მიმართულია უნივერსიტეტში არსებული ჰორიზონტ ევროპის საგრანტო ოფისის მუშაობა. კვლევების ინტერნაციონალიზაციისათვის მიმდინარეობს მუშაობა ინგლისური ენის კომპეტენციების გაძლიერების კუთხით.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ხდება ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. თუმცა ახალი პროგრამის შემუშავებასთან მიმართებით სასურველია დაწესებულებამ გააუმჯობესოს მონიტორინგის პროცედურა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე დარგის მიმართულებით, რათა გამოირიცხოს ისეთი შინაარსობრივი უზუსტობები, რომლებიც

წარმოდგენილ კლასტერში დაფიქსირდა სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;
- სსიპ - ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სსიპ - ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამოკითხვის ჩატარების წესი;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს.

რჩევ(ებ)ი:

- აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევა არ აქვს.

პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს.

რჩევ(ებ)ი:

- აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევა არ აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრა,ა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნება - სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ისტორია - საბაკალავრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (სიძველეთმცოდნეობა - სამაგისტრო პროგრამა)	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მერაბ ჭუმბურიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ავალიანი

ვაჟა მამიაშვილი

თამთა კობახიძე

ნინო ხუბულია